



21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემა და
საქართველო

მარიამ ჩიტაური

თბილისი-2020

სარჩევი

შესავალი	3
მიზნები და ამოცანები	4
თავი I.....	6
21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოსაფრთხოების სისტემა	6
1.1 კავკასიის ახალი რეგიონული დანიშნულება საერთაშორისო ენერგოპოლიტიკის ფორმირების პროცესში	6
1.2 კავკასიის რეგიონის ენერგოპოლიტიკა პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში და ახალი გამოწვევები	17
თავი II	29
საქართველოს ენერგოსაფრთხოების პოლიტიკა 21-ე საუკუნეში.....	29
2.1 საქართველოს როლი კავკასიის ენერგოსაფრთხოების სისტემაში	29
2.2 საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა და გამოწვევები	36
დასკვნა.....	44
გამოყენებული ლიტერატურა	49

შესავალი

თანამედროვე მულტიპოლუსიან საერთაშორისო სისტემაში ისეთი ცნება, როგორცაა „ენერგოუსაფრთხოება“, მსოფლიოს დიდი, თუ მცირე სახელმწიფოებისთვის პრივილეგიურულ მიმართულებად არის ქცეული. თავის მხრივ, სახელმწიფოებისთვის ენერგოუსაფრთხოება მოიცავს შემდეგ გამომწვევ კომპონენტებს: მდგრადი ენერგეტიკა, ეკონომიკური ზრდის ტემპები, პოლიტიკური ძალაუფლება. ნიშანდობლივია, რომ კავკასია, საერთაშორისო ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს. კავკასიის რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მუდამ იყო მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრში და თანამედროვე ეტაპზე აქტუალობას, მით უფრო, არ კარგავს.

მე-20 საუკუნეში ენერგოუსაფრთხოება გლობალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების საზომია, ხოლო, მაშინ, როდესაც 21-ე საუკუნეში ენერგომომხმარება გაცილებით მაღალია, ვიდრე გასულ საუკუნეში, სახელმწიფოების უპირველესი საზრუნავია ენერგომიწოდების დივერსიფიკაცია. ერთი მხრივ, ენერგოუსაფრთხოება სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია, მეორე მხრივ, კი ენერგომომხმარებელი სახელმწიფოების ეროვნულ უსაფრთხოებას ხდის მოწყვლადს. ამგვარად, საყურადღებოა, ის თუ როგორ ნაწილდება ენერგორესურსები მსოფლიოში.

ენერგომომხმარების დივერსიფიკაციის ერთ-ერთი საშუალებაა კავკასიის, როგორც ხელსაყრელი სატრანზიტო პოტენციალის მქონე რეგიონად განხილვა. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს მაგალითი და ის, თუ რა ადგილი უჭირავს კავკასიის რეგიონში ამ მიმართულებით. კავკასიის ენერგოუსაფრთხოების განვითარება და მისი სატრანზიტო როლის აღქმა ჯერ კიდევ სიახლეა, შესაბამისად ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებები როგორცაა „ევროკავშირი (EU)“ და „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების გაერთიანება(NATO)“ აქტიურად თანამშრომლობენ კავკასიის რეგიონში შემავალ სახელმწიფოებთან ენერგეტიკული პერსპექტივების განვითარების მიზნით. ამ დრომდე მიღწეული მრავალპროფილიანი შეთანხმებები კი საწინდარია აღნიშნული რეგიონის ერთგვარ

დასავლეთისა-აღმოსავლეთის ენერგეტიკულ დერეფნად ჩამოყალიბებაში, სადაც საქართველო, თავისი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობიდან გამომდინარე, იქნება მოწინავე აქტორი.

მიზნები და ამოცანები

ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს 21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემა და საქართველოს როლი ამ მიმართულებით. კერძოდ: წარმოაჩინოს კავკასიის რეგიონის ენერგოპოლიტიკა და მისი როლი საერთაშორისო ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით. გააანალიზოს კავკასიის რეგიონში ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით არსებული გამოწვევები. განსაზღვროს საქართველოს, როგორც კავკასიის რეგიონში შემავალი სახელმწიფოს, პერსპექტივები კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემაში. გააანალიზოს საქართველოს, როგორც ენერგო-სატრანზიტო პოტენციალის მქონე სახელმწიფოს წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები.

თემის აქტუალობა

21-ე საუკუნის მსოფლიოსთვის „ენერგოუსაფრთხოების“ ცნება გლობალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაწეული მთელი რიგი ღონისძიებების ერთობლიობას მოიაზრებს. შესაბამისად, თითოეული სახელმწიფო, განვითარებული თუ განვითარებადი, ცდილობს გაატაროს საკუთარი პოლიტიკურად და ეკონომიკურად ხელსაყრელი ენერგოპოლიტიკა, რათა არ აღმოჩნდეს მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ენერგოგიგანტების ჩრდილქვეშ. დაპირისპირების მთავარი აქტორები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მდებარეობენ და აქტიურად ცდილობენ რეგიონებში ენერგომონოპოლიის დამყარებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ენერგოდივერსიფიკაციის მიღწევა პრივილეგირებულ საკითხად არის ქცეული. კავკასიის რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, დასავლეთისა-აღმოსავლეთის

ენერგეტიკულ დერეფანს წარმოადგენს. საქართველო კი, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფო, სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს რეგიონში მოწინავე საერთაშორისო პარტნიორობის თვალსაზრისით.

კვლევის კითხვა: როგორია 21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემის მახასიათებლები და რა როლი აქვს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოს, კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემაში?

ჰიპოთეზა

21-ე საუკუნეში ენერგომომხმარებლის მაჩვენებლები მკვეთრად მაღალია, ვიდრე გასულ საუკუნეში. სახელმწიფოები ყველა შესაძლო მეთოდს გამოიყენებენ ენერგომომწოდებისა და ენერგომომხმარებლის უზრუნველსაყოფად. მსოფლიოს, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი სახელმწიფოების მცდელობა გაატარონ საკუთარი ენერგოპოლიტიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, აქტუალობას არ დაკარგავს. აღნიშნულ მეტოქეობაში, კავკასიის რეგიონი სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ხელსაყრელი ენერგო-სატრანზიტო მაგისტრალის მიმართულებით, რათა გახდეს ერთგვარი „დამაკავშირებელი ხიდი“ დასავლეთ-აღმოსავლეთისა. საქართველო, როგორც კავკასიის რეგიონში შემავალი სახელმწიფო, დასავლეთთან ინტეგრაციის პარალელურად, შეასრულებს მოწინავე აქტორის როლს ენერგოდივერსიფიკაციისა და შეუფერხებელი ენერგომომწოდების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

მეთოდები

კვლევაში დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ:

- ▶ მონაცემთა ანალიზი

- ▶ შემთხვევის გარჩევა (Case-Study)
- ▶ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი (Swot-analyze)
- ▶ ნარატიული და დესკრიფციული

თავი I

21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემა

1.1 კავკასიის ახალი რეგიონული დანიშნულება საერთაშორისო ენერგოპოლიტიკის ფორმირების პროცესში

თანამედროვე მულტიპოლუსიან საერთაშორისო სისტემაში, კავკასიის რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, უდაოდ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს. კავკასიის რეგიონი მარტივად უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთი - სპარსეთის ყურის სახელმწიფოებს. კავკასიის როლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, კერძოდ კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტის კონტროლისათვის. აღნიშნულ მეტოქეობაში, იგი სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ხელსაყრელი ენერგო-სატრანზიტო მაგისტრალის მიმართულებით და ერთგვარი „დამაკავშირებელი ხიდია“ დასავლეთ-აღმოსავლეთისა. იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ კავკასიის ახალი რეგიონული დანიშნულება საჭიროა გავანალიზოთ საერთაშორისო ენერგეტიკულ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები და გამოვყოთ მთავარი მახასიათებლები.

საბჭოთა პერიოდში კავკასია მის საზღვრებში შედიოდა, შესაბამისად კავკასიის რეგიონული დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის სივრცეში მოიაზრებოდა, რაც შეეხება პერსპექტივებს, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ცხადია, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები დამოუკიდებლად ვერ ახორციელებდნენ ენერგორესურსების მოპოვებასა და განკარგვას, ისევე, როგორც ვერ ავითარებდნენ სატრანზიტო პოტენციალს. რაც შეეხება კასპიის ზღვის

სტატუსს, სსრკ-ს არსებობის პერიოდში დაწვრილებით არ იყო განსაზღვრული და არც რაიმე სახის შეუთანხმებლობას იწვევდა ორ მაშინდელ კასპისპირა სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირსა და ირანს - შორის.

1991 წლის 8 დეკემბრის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნული რეგიონი სრულმა ქაოსმა მოიცვა. იძულებით გასაბჭოებული რესპუბლიკები, მას შემდეგ, რაც მოიპოვეს თავისუფლება, ერთგვარ პოლიტიკურ კოლაფსში აღმოჩნდნენ და თავიდან დაიწყეს მათ ხელთ არსებული ენერგორესურსების მოძიება, მოპოვება თუ განკარგვა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან გარე ძალების ჩარევამ რეგიონში არსებული კონფლიქტური კერები დროებით მართვადი გახადა. ამ დროიდან, აღნიშნული რეგიონით დაინტერესება არსებული ენერგოპოტენციალის მიმართულებით არა მარტო ლოკალურ, არამედ გლობალურ ხასიათსაც ატარებს.

ნიშანდობლივია, რომ, ამჟამად, კასპის ზღვის სამართლებრივი სტატუსი ჯერაც არ არის სრულად დადგენილი. კასპის ზღვაზე გასასვლელი გააჩნია ხუთ სუვერენულ სახელმწიფოს - აზერბაიჯანს, რუსეთს, ყაზახეთს, თურქმენეთსა და ირანს. თითოეული სახელმწიფოს სანაპიროთა სიგრძის წილობრივი მაჩვენებელი შემდეგია: აზერბაიჯანი - 15.2%, რუსეთი - 18,5%, ყაზახეთი - 30.8%, თურქმენეთი - 16.8% , ირანი - 18,7%.¹ შესაბამისად, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კასპისპირეთის ენერგოპოლიტიკა საკმაოდ კომპლექსურია: ხუთი სახელმწიფოდან სამი (აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ყაზახეთი) პოსტაბჭოთა სივრცეს განეკუთვნება, რაც შეეხება რუსეთსა და ირანს, ისინი საერთო ინტერესების მატარებელნი არიან, ამიტომ მათი გავლენა ხელს უშლის დანარჩენ სამ სახელმწიფოს გაატარონ საკუთარი ენერგოპოლიტიკა.

თანამედროვე ეტაპზე, კასპის ზღვის ენერგოპოტენციალი ძალზედ მნიშვნელოვანია და მასზე მოთხოვნა სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს.

¹გ. მურვანიძე. (2013წ). კასპის ზღვის სამართლებრივი სტატუსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გ.ვ 6

კასპიის ზღვის დადასტურებული მარაგის რაოდენობა 15.31 მლრდ ბარელს შეადგენს, რაც მსოფლიო მარაგის 2,7%-ა.² 2018 წელს კასპიის ზღვის არეალში არსებული სახელმწიფოების ბუნებრივი აირის დადასტურებული მარაგები მსოფლიო მარაგებთან მიმართებაში პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება: ირანი - 16,2%(31,9 ტრილიონი მ³), რუსეთი - 19,8%(38,9 ტრილიონი მ³), თურქმენეთი 9,9%(19,5 ტრილიონი მ³), აზერბაიჯანი 1,1%(2,1 ტრილიონი მ³), ყაზახეთი - 0,5%(1,0 ტრილიონი მ³). რაც შეეხება კასპიის ზღვის არეალში მდებარე სახელმწიფოების ნავთობის მარაგების რაოდენობას მსოფლიო მარაგებთან მიმართებაში, პროცენტულად შემდეგნაირად განისაზღვრება: ირანი - 9,0% (155,6 ათასი მლნ ბარელი), რუსეთი - 6,1% (106,2 ათასი მლნ ბარელი), ყაზახეთი - 1,7% (30.0 ათასი მლნ ბარელი), აზერბაიჯანი - 0,4% (7,0 ათასი მლნ ბარელი).³ არსებული მარაგებით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ მის არეალში მდებარე, არამედ მოსაზღვრე სახელმწიფოებიც.

მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ ევროკავშირის ენერგორესურსების მარაგების რაოდენობასაც მსოფლიოს სხვა რეგიონების მარაგებთან მიმართებაში, რომელიც არც თუ ისე შთამბეჭდავია: ევროკავშირზე ნავთობის მსოფლიო მარაგების 0,3% (4,8 ათასი მლნ ბარელი) მოდის, ხოლო ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების 0,6% (1.1 ტრილიონი მ³). რაც შეეხება მოხმარებას, ევროკავშირის ბუნებრივი აირის მოხმარების წილი მსოფლიოს მასშტაბით 11,9%-ს (458.5 ტრილიონი მ³) შეადგენს, ხოლო ნავთობის მოხმარების წილი - 13,9% (646,8 მლნ ტონა).⁴ აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგომიწოდებისა და ენერგოდივერსიფიკაციის საკითხი დასავლეთისთვის.

დასავლური მარშრუტების განვითარება 1990-იანი წლებიდან გახდა აქტუალური და მისი უმთავრესი დანიშნულება რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შესუსტებაა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური და პოლიტიკური

²გ. მურვანიძე. (2013წ). კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გ.ვ 6

³“Full report - BP Statistical Review of World Energy 2019”, (2019), 68th edition

⁴“Full report - BP Statistical Review of World Energy 2019”, (2019), 68th edition

გავლენისგან გათავისუფლებას გულისხმობს. რუსეთს ევროპაში ნავთობის ექსპორტისათვის რამდენიმე პროექტი აქვს განხორციელებული: „დრუჟბა“, კასპიის მილსადენის კონსორციუმი, ბაქო - ნოვოროსისკის მილსადენი.⁵

1. რუსეთის მილსადენმა - „დრუჟბა“ ევროპისათვის ნავთობის მიწოდება 1964 წლიდან დაიწყო. თავდაპირველად რუსეთიდან ნავთობი პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიეწოდებოდა. 1970 წლიდან მისი მასშტაბები რამოდენიმე პარალელური მილსადენით გაფართოვდა. ამჟამად, თათრეთისა და სამარის ოლქების ნავთობის ჩრდილოეთის განშტოება ბელარუსის გავლით გერმანიასა და პოლონეთს ამარაგებს, ხოლო სამხრეთის განშტოება უკრაინის გავლით ბალკანეთის სახელმწიფოებს, იტალიასა და ცენტრალურ ევროპას. მისი წარმადობა დღეში 1,2-1,4 მლნ ბარელს შეადგენს. აღნიშნულ ნავთობსადენს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს ცენტრალური ევროპის ნავთობით მომარაგების საკითხთან მიმართებაში.⁶
2. კასპიის მილსადენის კონსორციუმი - თენგიზ-ნოვოროსისკის ნავთობსადენი 2001 წლიდან მოქმედებს და დასავლეთ ყაზახეთის ნავთობსაბადოებს რუსეთის შავი ზღვის პორტს უკავშირებს. მისი სიგრძე 1 510 კმ-ს, წარმადობა კი დღეში 650 ბარელს შეადგენს.⁷
3. ბაქო-ნოვოროსისკის მილსადენი(AZ-RU) - ჩრდილოეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენს წარმოადგენს და აზერბაიჯანის სანგაჩალის ტერმინალს რუსეთის ნოვოროსისკის ტერმინალს აკავშირებს. მოქმედებს 1997 წლიდან. სიგრძე 1 330 კმ-ია, ხოლო წარმადობა წელიწადში 5 მლნ ტონით განისაზღვრება.⁸

რაც შეეხება გაზსადენებს, ენერგო მარშრუტები შემდეგნაირად გამოიყურება: „ჩრდილოეთის ნაკადი“, „ლურჯი ნაკადი“, „სოიუზი“, „ბრატსტვო“, იამალ-ევროპა.⁹

⁵⁶⁷⁸⁹მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი I); აპრილი 2015. <https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/?fbclid=IwAR0A7-3Er81cktiGO1kNe0fXJbNkr149QrjqPmjbc1Ct-6H2BMZaJ4rNico>

1. „ჩრდილოეთის ნაკადი“ - რუსეთ-გერმანიის ერთობლივი პროექტია, გერმანია ბალტიის ზღვის გავლით ვიბორგი-გრეიფსვალდის მილსადენით პირდაპირ იღებს რუსულ გაზს, რაც რუსეთის დამოკიდებულებას სატრანზიტო სახელმწიფოებზე მკვეთრად დაბალს ხდის. გერმანიის შემდეგ გაზი დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, დანიასა და ნიდერლანდებში ნაწილდება. გაზსადენი ექსპლუატაციაში 2012 წლიდან ჩაეშვა და 1 224 კმ სიგრძისაა, მილსადენის მთლიანი წარმადობა კი 55 მლრდ მ³ შეადგენს.¹⁰
2. „ლურჯი ნაკადი“ – 1 213 კმ სიგრძის მილსადენი შავი ზღვის ფსკერის გავლით რუსეთსა და თურქეთს აკავშირებს. გაზსადენის წარმადობა წელიწადში 16 მლრდ მ³-ია და ექსპლუატაციაში 2005 წლიდან შევიდა. საყურადღებოა, რომ პროექტს აშშ და თურქეთის სამხედრო ელიტა ეწინააღმდეგებოდა. ცალსახა იყო, რომ „ლურჯი ნაკადი“-ს ამოქმედება თურქეთის რუსეთზე დამოკიდებულებას მკვეთრად გაზრდიდა, ვინაიდან რუსეთი „სოიუზის“ გაზსადენით თურქეთს უკვე ამარაგებდა. გარდა ამისა, რასაკვირველია, რუსეთი მხოლოდ თურქეთთან ტრანზიტით არ დაკმაყოფილდებოდა და მიზნად ევროპაში კასპიური ენერგორესურსებით მომარაგების მიმართულებით მონოპოლიის შენარჩუნებას ისახავდა.¹¹
3. „სოიუზი“ - გაზსადენს ორი ძირითადი მიმართულება აქვს: ერთი რუსეთიდან უკრაინის გავლით ჩეხეთს, სლოვაკეთს, ავსტრიასა და გერმანიას უკავშირდება. ხოლო მეორე - სამხრეთით მოლდავეთზე, რუმინეთსა და ბულგარეთს უკავშირდება. ჯერ კიდევ 1975-79 წლებში აშენებული 2 750 კმ სიგრძის მილსადენის წარმადობა წელიწადში 26 მლრდ მ³-ს აღწევს.¹²

ანგარიშგასაწევია, რომ უკრაინის ტერიტორიაზე „სოიუზის“ გაზსადენის 1 568 კმ გადის, რაც რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ფონზე, პერიოდულად, მეტად არასტაბილურ მდგომარეობას უქმნის, არა მარტო თავად უკრაინას, არამედ ევროპის სახელმწიფოებსაც. კერძოდ, გავიხსენოთ 2009 წლის რუსეთ-უკრაინის „გაზის ომი“, როდესაც გაზის საფასურთან დაკავშირებით დავამ, რუსეთის მხრიდან ჯერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა გამოიწვია, ხოლო, მალევე - ევროპის მიმართულებით გაზის ტრანზიტის შეწყვეტაც.

რასაკვირველია, ამ ფაქტმა ევროპის სახელმწიფოები მეტად დააზარალა. რუსულმა „გაზპრომმა“ ტრანზიტის შეჩერების საბაზად გამოიყენა ბრალდება, რომ უკრაინის „ნეფტოგაზი“ სატრანზიტო გაზს იტაცებდა და არამიზნობრივად იყენებდა, კიევში კი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდნენ. ამ კონფლიქტის დეესკალაციამდე მკაცრ ზამთარში ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილი ევროპის სახელმწიფოები ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ.

4. „ბრატსკო“ - რუსეთის ყველაზე გრძელი მილსადენია და 4 500 კმ-ს შეადგენს. მისი წარმადობა კი წელიწადში 32 მლრდ მ³-ით განისაზღვრება. აღნიშნული გაზსადენის გაყვანა 1982-84 წლებში მიმდინარეობდა, 1984 წლიდან ამოქმედდა და რუსეთიდან დასავლეთ უკრაინის გავლით ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ამარაგებს. საყურადღებოა, რომ „ცივი ომის“ პერიოდში გაზსადენის მშენებლობამ აშშ-სა და ევროპას შორის უთანხმოება წარმოშვა, ვინაიდან აშშ, გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლით, ევროპას რუსეთზე პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების გაზრდას უწინასწარმეტყველებდა.¹³

5. იამალ-ევროპა - გაზსადენი დასავლეთ ციმბირიდან იღებს სათავეს და ბელარუსიისა და პოლონეთის გავლით გერმანიის ტერიტორიას უკავშირდება, საიდანაც, შემდგომში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში: ნიდერლანდებში, ბელგიასა და დიდ ბრიტანეთში ნაწილდება. 4 196 კმ სიგრძის მილსადენის მაქსიმალური წარმადობა წელიწადში 33 მლრდ მ³-ია.¹⁴

ზემოთხსენებული რუსული მონოპოლიისგან გასათავისუფლებლად 1990-იანი წლებიდან ევროპამ ეტაპობრივად დაიწყო სამხრეთის დერეფნის ათვისება. იმის უკეთ გასაგებად, თუ როგორ იყენებენ აქტორები კასპიის ზღვის სახელმწიფოების ენერგორესურსებს სათავისოდ და რა როლი აქვს კავკასიას ამ მიმართულებით, საჭიროა ჩამოვთვალოთ რეგიონში ამ დრომდე განხორციელებული და სამომავლო

^{10 11 12 13 14} მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი I); აპრილი 2015. <https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/?fbclid=IwAR0A7-3Er81cktiGO1kNe0fXJbNkr149QrjQpMjbc1Ct-6H2BMZaJ4rNico>

ენერგოპროექტები. დასავლეთის ინვესტიციების წყალობით 1993 წლიდან აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის მოპოვებით დაინტერესებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, რამაც სათავე დაუდო რეგიონში ევროპა-კავკასია-აზიის სატრანზიტო დერეფნის იდეის დაბადებას.

განვიხილოთ რუსეთის გავლენისგან თავისუფალი მილსადენები:

1. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი - ბაქო-სუფსის მილსადენი(AZ-GE), რომელიც 1999 წელს გაიხსნა და სანგჩალის (აზერბაიჯანი) ტერმინალს სუფსის(საქართველო) ტერმინალთან აკავშირებს. 830 კმ სიგრძის ნავთობსადენის სიმძლავრე 6 მლნ ტონას შეადგენს.¹⁵
2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენები(AZ-GE-TR) - ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღია 2006 წელი. 4 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ნავთობსადენი პირველი პირდაპირი სატრანსპორტო ხაზია კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის. მაქსიმალური წარმადობა 60 მლნ ტონას შეადგენს.¹⁶ აღნიშნული სატრანზიტო მაგისტრალის გაყვანას რუსეთი უარყოფითად აფასებდა,თუმცა აშშ-ის ჩარევის შედეგად ნავთობსადენი აშენდა. ოფიციალური ვაშინგტონის მიზანი სწორედ რუსეთისა და ირანიდან დამოუკიდებელი სამარშრუტო მაგისტრალის გაყვანა გახლდათ, რომელიც დასავლეთის მიმართულებით აზერბაიჯანულ ენერგორესურსს გაატარებდა. მილსადენის სიგრძე 1 768 კმ-ია, რომლის 443 კმ აზერბაიჯანის, 249 კმ საქართველოს, ხოლო 1 076 კმ თურქეთის ტერიტორიაზე გადის.¹⁷
3. ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენი/შაჰდენიზის მილსადენი(AZ-GE-TR) - სამხრეთ კავკასიის მილსადენია, რომელიც შაჰ დენიზის გაზის საბადოდან (აზერბაიჯანი) საქართველოს გავლით ქ. ერზერურამდე

¹⁵ როლანდ გიოცი. ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება,ექსპორტი ტრანზიტით. 6 თებერვალი 2018 წელი. https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunebrivi-airi-samxret-kavkasiashi-shida-momarageba-eksporti-tranziti?fbclid=IwAR0dIyOh0Xcaq15Qu-E_oahEdb4McAECe8TYqtZHQc6bqqlfI_sYmoXeROo

¹⁷ მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი I); აპრილი 2015. <https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/?fbclid=IwAR0A7-3Er81ckriGO1kNe0fxJbNkr149QrjqPmjbc1Ct-6H2BMZaJ4rNico>

(თურქეთი) გადის. გაზსადენის სიგრძე 692 კმ, ხოლო სიმძლავრე 6 მლრდ მ³-ია. მილსადენი ექსპლუატაციაში 2006 წლიდან ჩაეშვა და ამჟამად, მხოლოდ ზემოთხსენებულ სახელმწიფოებს ამარაგებს. შაჰდენიზის განვითარებას 51%-ით “BP” და “Statoil” აფინანსებს.¹⁸

დასავლეთმა, როგორც ზემოთჩამოთვლილი განხორციელებული პროექტებიდან ჩანს, სულ უფრო მეტად გააძლიერა ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგომიწოდების დივერსიფიკაციის ირგვლივ ლობირება. „ევროკავშირის“ ენერგო გეოპოლიტიკა კარგად ჩანს მათ მიერ შემუშავებულ „თეთრ წიგნსა“ და „მწვანე წიგნში“, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროგაერთიანების სტრატეგიასა და კონსულტაციებს კონკრეტულ სფეროში. ევროგაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების საერთო ინტერესების გაზიარების მიუხედავად, მათი დამოკიდებულება რუსეთის მანიპულაციური და არასანდო ენერგოპოლიტიკის მიმართ არაერთგვაროვანია. მაშინ, როდესაც ლიტვა და პოლონეთი ისტორიულ კონფლიქტში მოდიან რუსეთთან, სხვა სახელმწიფოები ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ინარჩუნებენ სტაბილურ ურთიერთობას და ხშირად მის ფაქტორსაც ითვალისწინებენ.

მაგალითად, განვიხილოთ „ნაბუქო“-ს პროექტი, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით, აზერბაიჯანულ გაზს თურქეთისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის გავლით ავსტრიასთან დააკავშირებდა. აღნიშნულ პროექტზე საუბარი 2002 წელს დაიწყო ევროპის რამდენიმე ენერგოკომპანიის მონაწილეობით: OMV Gas GmbH(ავსტრია), Botas(თურქეთი), Bulgargas(ბულგარეთი), S.N.T.G.N Transgas S.A(რუმინეთი) და MOL Natural Gas Transmission Company Ltd(უნგრეთი). მის მიზანს ბუნებრივი აირის რეგიონული დივერსიფიკაცია და ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება წარმოადგენდა, სწორედ ამიტომ 2004 წელს დაფუძნდა “Nabucco Gas Pipeline International GmbH(„შპს საერთაშორისო გაზსადენი ნაბუქო“) და პროცენტული წილი (20%) თანაბრად გადანაწილდა. კონსორციუმს ამ პროექტში

¹⁸როლანდ გიოცი. ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება, ექსპორტი ტრანზიტი. 6 თებერვალი 2018 წელი. https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunebriვი-airi-samxret-kavkasiashi-shida-momaraგeba-eksporti-tranziti?fbclid=IwAR0dIyOh0Xcaql5Qu-E_oahEdb4McAECe8TYqtZHQc6hgqlfl_sYmoXeROo

სურდა მთელი სამხრეთ კავკასიის, კასპიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სახელმწიფოების (ირანი, ერაყი, ეგვიპტე) ბუნებრივი აირის ექსპორტიორებს გაერთიანება. აშშ მიესალმებოდა „ნაბუქოს“ პროექტს და დადებითად აფასებდა. დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ენერგომაგისტრალის გაყვანით, სამხრეთ კავკასიისა და კასპიის რეგიონები გაიმყარებდნენ საერთო ინტერესებს და ინტეგრირდებოდნენ დასავლეთთან. „ნაბუქო“-ს მშენებლობა ორ ეტაპს მოიცავდა: 1. 2000 კმ სიგრძის ანკარა(თურქეთი) – ბაუმგარტენი(ავსტრია) დამაკავშირებელი ენერგომაგისტრალის გამართვა. 2. საქართველოდან, ირანიდან და ერაყიდან მიმავალი თურქეთთან დამაკავშირებელი მილსადენების გაყვანა.¹⁹ თუმცა მშენებლობა ჭიანურდებოდა ფასების ზრდისა და შესაძლო მიმწოდებლებთან შეუთანხმებლობის გამო. 2012 წლიდან უნგრული ენერგოკომპანია „MOL“-ი პროექტიდან გამოვიდა, რომელსაც მხარი „ევროკავშირ“-მა დაუჭირა. „ნაბუქოს“ კონსორციუმი საბოლოოდ, მხოლოდ პროექტის პირველი ეტაპის განხორციელებაზე შეჯერდა, თუმცა მას შემდეგ, რაც „მაჰდენიზის“ კონსორციუმმა პროექტზე - Trans Adriatic Pipeline-TAP (ტრანს ადრიატიკული მილსადენი) მუშაობის დაწყება გააჟღერა, „ნაბუქო-ვესტი“-ს მშენებლობაც დღის წესრიგიდან ამოიღეს. „ნაბუქოს“ პროექტის ჩავარდნა აკადემიურ წრეში აზრთასხვადასხვაობას იწვევს. ნაწილი ექსპერტებისა ენერგეტიკის სფეროში მიიჩნევს, რომ ბუნებრივი აირის მარაგები ნავარაუდებზე ნაკლები იყო და სწორედ ამიტომ ვერ მოხდა დასაფინანსებლად ინვესტორების მიზიდვა. ნაწილი კი თვლის, რომ სტაგნაციაში მყოფი ბაზრის პირობებშიც კი, მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასური შედარებით ძვირი მიმწოდებლების ჩანაცვლების ალტერნატივა გახდებოდა. სხვა მოსაზრებით, პროექტის შეჩერებას რუსეთის ფაქტორი განაპირობებდა. ოფიციალურმა კრემლმა „ნაბუქოს“ პროექტის საპირწონედ „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობისთვის მზადება დაიწყო, რომელიც ევროპის გაზით მომარაგებას ითვალისწინებდა. ამ საკითხთან მიმართებით

¹⁹როლანდ ვიოცი. ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება, ექსპორტი ტრანზიტი. 6 თებერვალი 2018 წელი. https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunbrivi-airi-samxret-kavkasiashi-shida-momarageba-eksporti-tranziti?fbclid=IwAR0dIyOh0Xcaql5Qu-E_oahEdb4MCAEce8TYqtZHQc6bgqlfl_sYmoXeROo

გასათვალისწინებელია თურქეთის პოზიცია, რომელსაც ინტერესი აქვს იყოს „ცენტრალური ღერძი“ კასპიის რეგიონის ბუნებრივი აირის ტრანზიტისა. „ნაბუქოს“ პროექტს არაერთი სატრანზიტო სახელმწიფო ყავდა, შესაბამისად მისი პოზიცია ნაკლებად გავლენიანი იქნებოდა. გარდა ამისა, კონსორციუმში არ არსებობდა ისეთი ნავთობკომპანია, რომელიც, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს (მხედველობაშია “BP”) ლობირებდა.

რაც შეეხება, რუსული კომპანია „გაზპრომი“-ს მიერ ინიცირებულ მილსადენს - „სამხრეთის ნაკადი“, შავი ზღვის გავლით ჯერ თურქეთს უნდა დაკავშირებოდა, შემდეგ კი ბალკანეთის გავლით ავსტრიაში უნდა მისულიყო. აღნიშნული სახით პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა 2014 წელს ბულგარეთისა და სერბეთის მიერ შეჩერებული სამუშაოების გამო. ამავე წელს ოფიციალურმა კრემლმა პროექტის „თურქული ნაკადი“-თ ჩანაცვლება განაცხადა. დღეს მილსადენი შავი ზღვის გავლით თურქეთს უკავშირდება, თუმცა ჩერდება მის სამხრეთ საზღვარზე. 2020 წლიდან რუსეთს მხედველობაში აქვს „თურქული ნაკადი“-ს გაფართოება დასავლეთის მიმართულებით, რაც ჩანაცვლებს უკრაინის ტერიტორიაზე გამავალ ბუნებრივი აირის ტრანზიტს. ზემოთხსენებული პროექტის გაფართოების შემთხვევაში რუსული გაზის სრული წარმადობა 63 მლრდ მ³-ს მოიაზრებს²⁰ და კონკურენციაში მოდის თავად თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ მხარდაჭერილ პროექტთან - „TANAP“. დასავლეთისთვის ენერგოტრანზიტის დაბალანსების თვალსაზრისით, კი „TANAP“-ისა და „TAP“-ის ამოქმედება ერთობ მნიშვნელოვანია.

„გაზის სამხრეთის დერეფნის“ ამოქმედების ფარგლებში, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ორი მიმართულებით იყოფა: 1. თურქეთზე გამავალი „ტრანსანატოლიური მილსადენი“(TANAP). 2. იტალიამდე მიმავალი „ტრანსადტრიატიკული მილსადენი“(TAP). 2015 წლიდან „TANAP“-ის მშენებლობას “BP” და „SOCAR” აფინსანსებენ. „ტანაპი“-ის ფარგლებში თურქეთს საქართველოს გავლით აზერბაიჯანული გაზი უკვე მიეწოდება, ხოლო 2020 წლიდან დაგეგმილია პროექტის გაფართოება და ევროპის მომარაგება, რასაც

²⁰როლანდ ვიოცი. ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება, ექსპორტი ტრანზიტით. 6 თებერვალი 2018 წელი. https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunebrivi-airi-samxret-kavkasiashi-shida-momarageba-eksporti-tranziti?fbclid=IwAR0dIyOh0Xcaql5Qu-E_oahEdb4MCAEce8TYqtZHQc6bgqlfI_sYmoXeROo

„მაჰდენიზის“ საბადოს ათვისების მე-3 ფაზა უზრუნველყოფს. „ტაპი“-ს მილსადენი თურქეთ-საბერძნეთის საზღვართან, კიფოისთან დაიწყება, გაგრძელდება სამხრეთ ალბანეთის მიმართულებით და ადრიატიკის ზღვის გავლით იტალიის გაზომომარაგების ქსელს დაუკავშირდება. ეს ორი პროექტი უზრუნველყოფს ევროპის ბუნებრივი აირის ნაწილობრივ მომარაგებას, რაც სატრანზიტო მაგისტრალის დივერსიფიკაციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

დასავლეთისთვის კიდევ ერთი საინტერესო პროექტი ენერგომიწოდების კუთხით „ტრანსკასპიური მილსადენი“-ა, რომელიც კასპიის ზღვის ფსკერზე გადის და თურქმენეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან აკავშირებს. „ნაბუქო“-ს პროექტის წარუმატებელი ლობირების შემდეგ ევროკომისიის ყურადღება სწორედ ამ ენერგომაგისტრალზე გამახვილდა. ევროკავშირმა, ჯერ კიდევ 2011 წელს მისთვის საგანგებო ინტერესის პროექტთა(PCI) ნუსხაში შეიტანა, 2015 წელს „აშხაბადის დეკლარაციის“ გაფორმებით დადასტურდა ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობის ნება. „TPC“-ს განხორციელებას თან ახლავს გარკვეული გამოწვევები, გეოგრაფიული ბარიერის, კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის, ეკოლოგიური საკითხებისა, თუ სატრანზიტო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

ამ დრომდე განხორციელებული („WREP“, „BTC“, „SCP/BTE“, „SCPX“) და მიმდინარე/სამომავლო პროექტები („TAP“, TANAP“, „TPC“) ცხადყოფს, რომ კავკასიის რეგიონით დაინტერესება ენერგეტიკის მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდება მომავალი ათწლეულის განმავლობაში. „BP“-ის პროგნოზით ნავთობისა და გაზის დომინირება კვლავ გაგრძელდება, ხოლო 2035 წლამდე ენერგორესურსებზე მოთხოვნა საშუალოდ 30%-ით მოიმატებს, ბუნებრივი აირი კი ნავთობზე საჭირო გახდება. დასავლეთის სახელმწიფოებმა საჭიროა საერთო ნება გამოავლინონ სამომავლო თანამშრომლობისთვის, ვინაიდან კავკასიის სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენება სწორედ გეოპოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული. მისი ჩრდილოელი მეზობლის ენერგოპოლიტიკა ეწინააღმდეგება დივერსიფიკაციას და ჰეგემონური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ყველანაირი ქმედებით ცდილობს არ დაუშვას ალტერნატიული

პროექტებისა და პროცესების განხორციელება. კავკასიის რეგიონული მნიშვნელობის ზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი გარანტი დასავლეთია. თავის მხრივ, დასავლეთისთვის კავკასიის სატრანზიტო მაგისტრალის ათვისება ენერგომიწოდების, ენერგოდირექტივისა და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით პრივილეგირებული მიმართულებაა.

1.2 კავკასიის რეგიონის ენერგოპოლიტიკა პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში და ახალი გამოწვევები

„ცივი ომის“ უმნიშვნელოვანეს შედეგს საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაცია წარმოადგენს. გეოპოლიტიკურმა და გეოსტრატეგიულმა ძვრებმა კავკასიის რეგიონში მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია, განსაკუთრებით კი ენერგოპოლიტიკის ფორმირების საკითხთან მიმართებაში. შედარებისთვის, შეიძლება განვიხილოთ საბჭოთა პერიოდი, როდესაც სამხრეთ კავკასიაში შემავალი სახელმწიფოები დამოუკიდებლად ვერ ახორციელებდნენ ენერგორესურსების მოპოვებასა და განკარგვას, ისევე, როგორც ვერ ავითარებდნენ სატრანზიტო პოტენციალს. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვადგინოთ კავკასიის რეგიონში შემავალი რესპუბლიკების ენერგოპოტენციალი, თავდაპირველად, საჭიროა განვიხილოთ წინარე ისტორია.

სამხრეთ კავკასია გლობალური ენერგოპოლიტიკის რუკაზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩნდება. 1879 წელს აზერბაიჯანში, კერძოდ ბაქოში, რუსეთის იმპერიის ნებართვით, ნავთობის პირველი კომერციული მოპოვება დაიწყო. შვედმა კერძო მეწარმეებმა, ნავთობის 9 ჭაბურღილი და გადამამუშავებელი საწარმო ააშენეს. ძმები რობერტ და ლუდვიგ ნობელების მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ შედეგი არ დააყოვნა - პირველ ეტაპზე, კომპანია „Branobel“-ის მიერ მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვის გავლით, ასტრახანის პორტის მიმართულებით მიმდინარეობდა. 1900 წლისთვის კი, უკვე 1 710 ჭაბურღილი მუშაობდა.²¹

რაც შეეხება პირველ რკინიგზასა და მილსადენს, მათი გაყვანა ცნობილი მეწარმეების - როტშილდების ოჯახის დაფინანსებით განხორციელდა. 1878-1879

წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, სატრანზიტო მაგისტრალის ახალი მიმართულებები შეიქმნა. ომის შედეგებით ბათუმი, რომელიც მანამდე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა და ამით, ნავთობის ექსპორტს ხელსაყრელი პირობები მიეცა. 1883 წელს პირველი კავკასიური სარკინიგზო ხაზი - ბაქო-ბათუმი აშენდა, რომლის მეშვეობითაც კასპიური ნავთობის ტრანსპორტირება შავი ზღვის პორტამდე კომერციულად მომგებიანი მარშრუტით შესაძლებელი გახდა. 1906 წელს კი, ბაქო-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალის გასწვრივ 883 კმ სიგრძის პირველი მილსადენი - ე.წ „ნავთის მილსადენი“ გაიყვანეს.²²

1914 წლამდე რუსეთის იმპერია მსოფლიოში ნავთობის მოპოვების მიმართულებით წამყვან როლს ასრულებდა, ვინაიდან მსოფლიო ნავთობის ნახევარს აწარმოებდა.

I მსოფლიო ომის პერიოდში კავკასიის რეგიონი, სწორედ ნავთობსა და სარკინიგზო მაგისტრალზე გავლენის მოპოვების მიზნით იქცა სტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალად. მაგალითად, გერმანელი გენერალ-პოლკოვნიკი ერის ფონ ლუდენდორფი თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიის მიმართულებით წინსვლის მიზეზი აზერბაიჯანული ნავთობისა და საქართველოს ხელსაყრელი სარკინიგზო მაგისტრალის გაკონტროლება იყო.²³

I მსოფლიო ომის დასასრულს აზერბაიჯანს დიდი ბრიტანეთი აკონტროლებდა, თუმცა იმ დროისათვის გამარჯვებული სახელმწიფოების ყურადღება ახლო აღმოსავლეთსა და ამ რეგიონში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე იყო მიპყრობილი. კერძოდ, გავიხსენოთ, რომ 1908 წელს ირანში, მასჯედ-ე-სოლეიმანის მახლობლად ნავთობის რესურსი აღმოაჩინეს. ხოლო მოგვიანებით, უკვე 1940-იანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის 5%-ს აწარმოებდა.²⁴ შესაბამისად, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ I

^{21 22 23} მამუკა კომახია. აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტი: პირველი ნავთობიდან „საუკუნის კონტრაქტამდე“. 13 ივნისი 2017 წელი.

<https://postsovietwatch.com/2017/06/13/%e1%83%90%e1%83%96%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%91%e1%83%90%e1%83%98%e1%83%af%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%95%e1%83%97%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%94/?fbclid=IwAR0iyCp9XFC0iw3kZ7LwUSkV5fLEZXuZ2sm9aUuNuk5399pi6iuKA4YjmMU>

მსოფლიო ომის ბოლოს, ძალთა გადანაწილების შემდეგ, კავკასიის რეგიონი არა დასავლეთის, არამედ ბოლშევიკური რუსეთის მთავარი ინტერესის არეალად გადაიქცა. მართლაც, 1920 წლის აპრილში ბაქო „წითელმა არმიამ“ დაიკავა.

II მსოფლიო ომის მსვლელობისას გერმანიის რაიხკანცლერის, ადოლფ ჰიტლერის მთავარ სამიზნეს, მოსკოვზე შეტევამდე, სამხრეთ კავკასია და იქ არსებული ენერგორესურსზე წვდომა წარმოადგენდა. თუმცა საბჭოთა კავშირის ლიდერმა, იოსებ სტალინმა შეძლო მოწინააღმდეგის სამხედრო წინსვლის შეჩერება და ბაქოს ნავთობსაბადოს წინაშე არსებული საფრთხე, ნავთობის ჭაბურღილებისა და ნავთობის მრეწველობის გაჩერებით გაანეიტრალა.

პოსტსაბჭოთა ქაოსის დროს აზერბაიჯანი წელიწადში ნავთობის მხოლოდ 12 მლნ ტონას აწარმოებდა, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით არსებული შეირადებული კონფლიქტის დროს (დაიწყო 1988 წელს), აზერბაიჯანში ნავთობის წლიური წარმოება 9 მლნ ტონამდე დაეცა.²⁵ ზემოთხსენებული წარმოებული ომი ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოსთვის ეკონომიკური კოლაფსი იყო. აზერბაიჯანის პოლიტიკური ელიტისთვის ცხადი გახდა, რომ ეკონომიკის აღდგენის უპირობო გზას ნავთობის მრეწველობის ზრდა წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სამხრეთ კავკასიის ინტეგრირება დასავლეთთან ენერგეტიკული კავშირის მიმართულებით. ჰეიდარ ალიევის ენერგოპოლიტიკურმა ხედვამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვა აშშ-ში. 1994 წელს კი „საუკუნის პროექტს“ მოეწერა ხელი, რომელიც ცხრა მსხვილ ნავთობკომპანიას აერთიანებდა. კონტრაქტის თანახმად, კასპიის ზღვაში არსებული სამი საბადოს (აზერი-შირაგი-გუნაშლის) დამუშავება განხორციელდა. “AIOC”-ის კონსორციუმმა აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით რამდენიმე მილსადენი

²⁴გაჩეჩილაძე რევაზ.(2018 წელი) ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. გვ.21 https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/reader%20r.gachechiladze.pdf

²⁵მამუკა კომახია. აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტი:პირველი ნავთობიდან „საუკუნის კონტრაქტამდე“. 13 ივნისი 2017 წელი. <https://postsovietwatch.com/2017/06/13/%e1%83%90%e1%83%96%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%91%e1%83%90%e1%83%af%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%95%e1%83%97%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%94/?fbclid=IwAR0iyCp9XFCOiw3kZ7LwUSkV5fLEZXuZZsm9aUuNuk5399pi6iuKA4YjmMU>

აამოქმედა: ბაქო-სუფსას (WREP) ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის (SCP/BTE) გაზსადენი.

ჰაიდარ ალიევის ენერგოპოლიტიკა, შეგვიძლია რამდენიმე ძირითად მიმართულებად დავყოთ: 1. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; 2. რეგიონში აზერბაიჯანული ნავთობის მნიშვნელობის ზრდა და მეზობელი სახელმწიფოებისთვის ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორად ჩამოყალიბება; 3. გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროპის სახელმწიფოებისთვის ბუნებრივი აირის დივერსიფიკაციის წყაროდ გადაქცევა; 4. აზერბაიჯანის, როგორც ცენტრალური აზიის ენერგორესურსების ექპორტისთვის მნიშვნელოვან სატრანზიტო მაგისტრალად განხილვა.

იმ დროისთვის, აშშ-ის მხრიდან კასპიის ზღვის ბუნებრივი რესურსებისა და სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო მარშრუტის შექმნის მიმართულებით გააქტიურება კარგად ჩანს აშშ-ში სპეციალური თანამდებობის შექმნითაც - „პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი კასპიური ენერგოდიპლომატიის საკითხებში“. კლინტონის ადმინისტრაცია „ალტერნატიული მილსადენის სისტემის“ ამუშავებით, კასპიური რესურსების ტრანსპორტირებას რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით განიხილავდა. რუსეთის პროექტში ჩართვა, ავტომატურად გამოიწვევდა მისი პოლიტიკური დივიდენდების გაზრდას რეგიონალური მასშტაბით, რაც შემდეგ გლობალურ ენერგობალანსზეც აისახებოდა. ირანის „ისლამური რევოლუციის“ (1979წ) შემდეგ აშშ-ს, თავისთავად, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ამ სახელმწიფოსთან. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიაში შემავალ სომხეთს, იგი რუსეთის ინტერესებს ითვალისწინებდა. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, კასპიური რესურსების ტრანსპორტირების მთავარი დერეფანი აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მარშრუტი გახდა.

სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანში ნავთობსადენების წარმატებით განხორციელებულმა პროექტებმა ცხადყო საქართველოს განსაკუთრებული როლის მნიშვნელობა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ (2006წ), აზერბაიჯანის „შაჰდენიზის“ გაზის საბადოს საექსპორტო

მარშრუტის მიმართულებასაც ჩაეყარა საფუძველი. ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გასწვრივ აშენდა და 2006 წლიდან ამოქმედდა. საქართველოს მხარდაჭერამ, მზადყოფნამ და წარმატებულმა პარტნიორობამ მსხვილმაშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვის შესაფერისი წინაპირობა შექმნა.

21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოსისტემის გეოპოლიტიკური ასპექტების უკეთ აღსაქმელად, საჭიროა მისი ორი მნიშვნელოვანი ფორმატი გამოვყოთ:

1. კავკასიის რეგიონალური ფორმატებიდან, უპირველესად, სწორედ აზერბაიჯანი - საქართველო - თურქეთის (AGT) რეგიონალური განზომილება²⁶ გახლავთ ყველაზე წარმატებული. „AGT“-ის ფორმატი ხელსაყრელი სატრანზიტო მარშრუტია ევროპის კასპიური ენერგორესურსებით მომარაგების საკითხში. გარდა იმისა, რომ ამ სახელმწიფოების კოლაბორაციის შედეგად, ევროპის მიმართულებით არაერთი ენერგომადგისტრალის მშენებლობა განხორციელდა(“WREP”, “BTC”, “SCP/BTE”, “SCPX”), საერთო სამომავლო პროექტებზე (“TAP”, “TANAP”, “TPC”) მუშაობა, კვლავ აქტიურ ფაზაშია.
2. კავკასიის ენერგოუსაფრთხოების კიდევ ერთი საყურადღებო ფორმატი - აზერბაიჯანი - საქართველო - სომხეთი - თურქეთი (AGAT) ანუ, დიდი სამხრეთ კავკასიის განზომილებაა.²⁷ სამხრეთ კავკასიის ამგვარი განსაზღვრება, რეგიონში მდებარე სამივე სახელმწიფოსთვის საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით: *1. თურქეთთან თანამშრომლობით ისინი მიიღებენ გამოცდილებას, ვინაიდან ამ უკანასკნელის ვესტერნიზაცია თითქმის სამოცდაათ წელს ითვლის (იგულისხმება თურქეთის „NATO“-ში გაერთიანების პერიოდიდან - დღემდე). 2. თურქეთი საქართველოს უდიდესი სავაჭრო მოკავშირეა და ამასთან ერთად, საქართველოს “NATO“-ში გაწევრების აქტიური მხარდამჭერია. 3. თურქეთი სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებული ტერიტორიული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას*

^{26 27} ალექსანდრე რუსეცკი. საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის. გვ.1

მიესალმება. 4. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საერთო ენერგეტიკული ხედვა კავკასიის ენერგოუსაფრთხოებას მტკიცესა და სწორხაზოვანს გახდის.

ზემოთხსენებული რეგიონალური ფორმატები, გარკვეულწილად, გვიჩვენებს საქართველოს როლს სატრანზიტო მარშრუტის დაგეგმვისა და გაყვანის საკითხში. ცალსახაა, რომ აზერბაიჯანული ენერგორესურსების საექსპორტოდ საქართველოს რესპუბლიკა მთავარი ცენტრია. საქართველო „ენერგეტიკულ ქარტია“-ში 1995 წელს გაწევრდა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო ამ მიმართულებით გააქტიურება. 2001 წელს საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გაფორმდა სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულება ბუნებრივი აირის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ. საქართველოში ენერგეტიკის დარგში ყველაზე მსხვილი ინვესტორი „BP“-ია, რომელმაც ინფრასტრუქტურისა და სოციალური პროექტების განვითარებაში ყველაზე მეტი - \$1.5 მილიარდი დააბანდა. ამჟამად, ბრიტიშ პეტროლიუმი საქართველოში სამ მილსადენს ოპერირებს: 1. „ბაქო-სუფსის“ ნავთობსადენს, რომლის მშენებლობაც „ადრეული ნავთობის პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა. 2. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენს, რომელიც კასპისა და შავი ზღვის უმოკლესი დამაკავშირებელი მარშრუტია. 3. „ბაქო-თბილისი-ერზერუმის“, ანუ სამხრეთ კავკასიის გაზსადენს, რომელიც კასპის ზღვის შაჰდენიზის საბადოებიდან SCP/BTE მილსადენის საშუალებით ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

საქართველოში კიდევ რამდენიმე გაზსადენი გადის, რომელიც სომხეთში რუსეთის ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ახორციელებს. რუსული გაზის ტრანზიტის სომხეთის მიმართულებით ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენების (NSCPS) სისტემით მიმდინარეობს. „NSCPS“ რუსული გაზის სომხეთში მიწოდების ერთადერთი უმოკლესი და უიაფესი სატრანზიტო სისტემაა. სისტემა სამ გაზსადენს აერთიანებს:

1. გაზსადენი „ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასია“ 1988-1994 წლებში აშენდა.

საქართველოში გამავალი მონაკვეთის სიგრძე 133 კმ-ს შეადგენს. იგი

რუსეთიდან საქართველოს გავლით სომხეთის გაზომმარაგებას ითვალისწინებს.²⁸

2. ყაზახი-საგურამო / სომხეთის განშტოების სიგრძე 234 კმ-ს შეადგენს და მისი წლიური სიმძლავრე 6 მლრდ მ³-ია. მშენებლობა 1980 წელს დაიწყო, ხოლო ექსპლუატაციაში 1994 წლიდან ჩაეშვა. „ყაზახი-საგურამო“-ს გაზსადენი „ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის“ მილსადენის გაგრძელებაა, რომელიც საგურამოდან გრძელდება სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებამდე. საგურამოში იგი უერთდება „ვლადიკავკაზ-თბილისი“-ისა და „ყარადაღი-თბილისის“ მილსადენებს.²⁹
3. „ვლადიკავკაზ-თბილისის“ გაზსადენი განლაგებულია „ჩრდილოეთ-სამხრეთ კავკასიის“ მილსადენის პარალელურად და ძირითადი სატრანზიტო მილსადენის დამხმარე ფუნქციას ასრულებს. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი 166 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობა 1966 წელს დასრულდა, რომელსაც, პერიოდულად, განახლება-რეაბილიტაცია უტარდება რთული რელიეფის მქონე რეგიონში არსებობის გამო.³⁰

როგორც ენერგომატარებლების განლაგებიდან ჩანს, სომხეთის რესპუბლიკა თითქმის სრულად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციის ენერგორესურსებზე, რომლის სატრანზიტო ცენტრს საქართველო წარმოადგენს. სომხეთის მეორე პარტნიორი ენერგეტიკის დარგში ირანი გახლავთ, რომელთანაც 140 კმ-იანი გაზსადენის - „ირანი-სომხეთი“ პროექტი აკავშირებს. აღნიშნული გაზსადენის სისტემა 2007 წელს ამოქმედდა და, თავდაპირველად, ირანული გაზის ირანი - სომხეთი - საქართველო - შავი ზღვა - უკრაინა - ევროპის მიმართულებით ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა.³¹ თუმცა, მას შემდეგ, რაც მშენებლობაში

^{28 29 30} საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. „საქართველოს ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა 2019-2028“. თბილისი 2019. გვ:17-18. <https://www.gogc.ge/uploads/tinyMCE/documents/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%202019-2028.pdf>

³¹ დავით ენგიბარიანი, ერევანი. „სომხეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ“. 14 ნოემბერი, 2017 წ. <https://jamnews.net/ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1/>

რუსული კომპანია „გაზპრომი“ ჩაერთო, აღნიშნული პროექტი უფრო მოკრძალებული გახდა და მხოლოდ სომხეთში ტრანზიტი განხორციელდა. იმ პერიოდში, ექსპერტთა უმრავლესობამ ირანული გაზის ევროპაში შესვლის დამაბრკოლებელ მიზეზად რუსული „გაზპრომი“ დაასახელა, რომელსაც არ სურდა ევროპაში მონოპოლიის დათმობა. ამჟამად, „ირანი-სომხეთი“-ს გაზსადენი სრული დატვირთვით არ ფუნქციონირებს და მისი წილი სომხეთის საერთო ბუნებრივი აირის მომარაგების 20%-ს შეადგენს.

სომხეთის ენერგოპოლიტიკა რუსეთსა და ირანზეა მიმართული. იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთს რუსეთთან პირდაპირი საზღვარი არ გააჩნია, ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ მარშრუტს იყენებს. სომხეთი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონში არსებული სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, რთულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაშია: ერთი მხრივ, არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, რაც საერთაშორისო თვალსაზრისით მის სატრანზიტო ფუნქციას გაზრდიდა. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან სადავო ტერიტორიის (იგულისხმება მთიანი ყარაბაღი) არსებობისა და თურქეთთან შეჩერებული დიპლომატიური ურთიერთობის (თურქეთი უარყოფს 1915 წელს ოსმალეთის მიერ სომეხი მოსახლეობის გენოციდის მოწყობის ბრალდებას) გამო „სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის“ პროექტების მიმდინარე პროცესებისგან გამიჯნულია.

სომხეთის რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემა შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოში დასავლური ინვესტიციების წყალობით. აშშ-ის ელჩმა სომხეთში, რიჩარდ მილზმა, თავის განცხადებებში არაერთხელ დაადასტურა ოფიციალური ვაშინგტონისგან მხარდაჭერითვის მზადყოფნა სომხეთის ენერგეტიკული პოტენციალის ამალღების საკითხში, რისთვისაც \$8 მილიარდის ღირებულების ინვესტიციის განხორციელება არის შესაძლებელი. პირველ რიგში, ინვესტიციის დაბანდებისთვის პერსპექტიულ პროექტად სომხეთის განახლებადი მზისა და ქარის ენერგეტიკა განიხილება. აღნიშნული სექტორის მოსალოდნელი წარმატება განპირობებულია, იმითაც, რომ 2017 წელს უკვე ამოქმედდა პირველი საწარმოო ჰელიოსადგური. 2015 წლიდან სომხეთმა განახლებადი ენერგეტიკის დარგში \$58

მილიონის ღირებულების ინვესტიცია მოიპოვა. პროექტს ენერგეტიკისა და ენერგომომარაგების ფონდი, კლიმატის საინვესტიციო ფონდი, სომხეთის ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მსოფლიო ბანკი და აზიის განვითარების ბანკი ერთობლივად უძრღვევიან. პროგრამის ფარგლებში ძირითადი ღონისძიებების ეტაპი 2017 წლიდან დაიწყო და 5-6 წელზეა გათვლილი. ამავე მიმართულებით, 2020 წლისთვის სომხეთში 40-45 მგვტ სიმძლავრის მეორე ჰელიოსადგურის ექსპლუატაცია იგეგმება.³² მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, სომხეთის რესპუბლიკის ენერგოპოლიტიკა მიმართულია სწორედ განახლებადი ენერგეტიკის განვითარებისკენ. რაც შეეხება რეგიონალურ თანამშრომლობას, სომხეთის ხელისუფლებისთვის ამ დრომდე განხორციელებულ რეფორმებს შორის პრივილეგირებულ საკითხად საერთო ენერგეტიკული დერეფნის შექმნა რჩება, რომელიც ირანი - სომხეთი - საქართველო - რუსეთის ენერგოსისტემების გაერთიანებას ითვალისწინებს.

კავკასიის რეგიონის ერთიანი ენერგოპოლიტიკის გატარებისა და განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები შეიძლება რამდენიმე მიმართულებად ჩამოვყალიბოთ:

გეოპოლიტიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიაში მყოფ სახელმწიფოებს აფერხებს როგორც ერთმანეთთან თანამშრომლობას, აგრეთვე მოსაზღვრე რეგიონის სახელმწიფოებთან კოლაბორაციის შექმნას. რუსეთის მიერ პროვოცირებული სომხეთისა და აზერბაიჯანის სადავო ტერიტორია - მთიანი ყარაბაღი, საქართველოსთვის ორი მეტად სენსიტიური რეგიონი - აფხაზეთი და ცხინვალი, რომელიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, გახლავთ ის ერთგვარი „ნალმები“, რომლებიც პოსტსაბჭოთა პერიოდის თანმდევია. ტერიტორიული კონფლიქტები პერიოდულად მწვავდება, რაც კავკასიის ენერგოუსაფრთხოებას მოწყვლადს ხდის. ახლო წარსულიდან, ამის მაგალითად, შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი. 2008 წლის 5 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის თურქეთის მონაკვეთზე კიბერთავდასხმა

³²საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ანალიტიკური დეპარტამენტი. „ენერგოდაიჯესტი“. 17 მაისი, 2017 წელი. გვ:12-13.

<http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energodaijesti%202017%205%201696%20geo.pdf>

განახორციელა, რის შედეგადაც ნავთობის მილში წნევამ მოიმატა და ნავთობსადენი აფეთქდა. შემთხვევამ ნავთობსადენის 3 კვირით შეჩერება გამოიწვია. 7 აგვისტოს კი, რუსეთმა განმეორებადი თავდასხმა განახორციელა - საქართველოზე გამავალ სატრანზიტო ნავთობსადენის მახლობლად რამდენიმე ასაფეთქებელი მოწყობილობა ჩამოაგდო.³³ ცხადია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწინააღმდეგის მხრიდან განხორციელებული ამგვარი დივერსიული აქტები მუქარის შემცველია და მიზნად სახელმწიფოს ენერგოუსაფთხოების ხელყოფას ისახავს. სატრანზიტო დერეფნის უაფრთხოების კიდევ ერთი გამოწვევა მთიანი ყარაბაღია. ცეცხლის შეწყვეტის ზონა აზერბაიჯანის მილსადენთან ყველაზე ახლოს - 13 კმ-ში მდებარეობს. რისკების მაჩვენებლის გათვალისწინებით ტრანზიტს, მართალია, საფრთხე ჯერ არ შექმნია, თუმცა სამხრეთ კავკასიის დაუცველობას ზრდის. ზემოთჩამოთვლილი საფრთხეები განეკუთვნება ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკურ და სოციალურ / ადამიანური რისკების კატეგორიებს, რაც ამ რეგიონის სირთულეებს პირდაპირ უსვამს ხაზს.

ენერგეტიკული ბაზრის მაღალი კონკურენცია და მონოპოლიები კავკასიის რეგიონის კიდევ ერთი გამოწვევაა. კონკურენტული მარშრუტები და დაბალი ფასები „სამხრეთ კავკასიის დერეფნის“ განვითარების გადავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგალითისთვის, განვიხილოთ ნავთობის ბაზარი: 2019 წლის მონაცემებით,³⁴ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მოპოვებულმა ნავთობმა მსოფლიო ნავთობის წარმოების 33,3% შეადგინა და იგი კასპიის ზღვის არეალისგან განსხვავებით, რამდენიმე უპირატესობას ფლობს: *1. ნავთობმომცემი ფენები მიწის ზედაპირზეა განლაგებული და ჭაბურღილის გაყვანის შემდეგ სატუმბი მოწყობილობის გამოყენება, მეტწილად, არ არის საჭირო. ეს გარემოება კი აადვილებს კომპანიების სამუშაო პროცესს, რაც ნავთობის მოპოვებას გაცილებით იაფს (საშუალოდ 2\$ ბარელზე) ხდის კასპიის ზღვაში მოპოვებულ ნავთობთან (საშუალოდ 6-7\$ ბარელზე) შედარებით. 2. ახლო აღმოსავლეთის მდებარეობა*

³³ თამარ პატარაია. „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“. 2015 წელი. გვ:3.
https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf

³⁴ Full report - BP Statistical Review of World Energy 2019", (2019), 68th edition. p:17.

ხელსაყრელია ნავთობის ტრანსპორტირებისთვის როგორც ცენტრალურ ევროპაში, აგრეთვე სამხრეთ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში.³⁵ რაც შეეხება ბუნებრივი გაზის წარმოებას³⁶ ამ მხრივ, მსოფლიოში რუსეთის ფედერაცია ლიდერობს (17,3%). მართალია, ახლო აღმოსავლეთში მსოფლიო წარმოების 17,8%-ია მოპოვებული, თუმცა ცალკეულ სახელმწიფოებთან შედარებით (ირანი - 6,2%; კატარი - 4,5%; სხვა - 7,1%) რუსეთი პირველ ადგილს იკავებს. რუსეთის ფედერაციის მონოპოლისტური მიდგომა ხელს უშლის კასპიის რეგიონის სხვა ენერგომომპოვებელ სახელმწიფოებს განახორციელონ საერთო პროექტები და გაიყვანონ ახალი მარშრუტები მსოფლიო ენერგობაზრის დივერსიფიკაციის მიზნით. ამგვარი საფრთხე განეკუთვნება ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ეკონომიკურ რისკებს.

მწვანე პოლიტიკა ხშირად ხდება საბაზი იმისა, რომ რუსეთმა და ირანმა ხელი შეუშალონ კასპიური ენერგორესურსების სამხრეთ კავკასიის გავლით ევროპაში გადინებას. მწვანე პოლიტიკის მთავარი ამოსავალი წერტილი ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნაა, ამიტომ რუსეთი და ირანი ტრანსკასპიური პროექტის („TPC“) წინააღმდეგ ყოველთვის იყენებენ გარემოსდაცვით საკითხებს. მათი შეფასებით ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობა რთულ ტექნოლოგიურ ღონისძიებებს მოითხოვს, რაც ეკოლოგიაზე ნეგატიურად აისახება. რასაკვირველია, ყველა ენერგომომპოვებელ კომპანიას მოეთხოვება გაითვალისწინოს ტექნიკური რისკები, როგორც ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ისე ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, თუმცა ტრანსკასპიური პროექტის („TPC“) განვითარების შესაჩერებლად, მას, ცალსახად, პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები გასდევს.

პოლიტიკური წინააღმდეგობა კასპიური ენერგორესურსების სამხრეთ კავკასიის სამარშრუტო გზით მიწოდების ყველაზე მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. რუსეთი და ირანი დასავლური მარშრუტის წინააღმდეგ აქტიურად იყენებენ საკუთარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტრუმენტებს. გარდა ამისა, კასპიურ

³⁵ გაჩეჩილაძე რევაზი. (2018 წელი) ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. გვ.20
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/reader%20r.gachechiladze.pdf

³⁶ Full report - BP Statistical Review of World Energy 2019”, (2019), 68th edition. p: 32.

გაზზე მოთხოვნა ჩინეთსაც გააჩნია. ჩინეთის მზარდმა მოთხოვნამ ბუნებრივ აირზე, რომელიც „IEA“-ს პროგნოზით 2035 წლისთვის 395 მლრდ მ³-ს შეადგენს,³⁷ გამოიწვია თურქმენული და ყაზახური ენერგოსექტორის ათვისება. სამომავლოდ, ირანის ინტერესი თურქმენული გაზის გატარება და, შემდეგ, მისი ექსპორტია. იმისათვის, რომ რუსეთმა დასავლეთის ენერგოდივერსიფიკაცია შეაჩეროს, თურქმენეთსა და ყაზახეთს ნაკლებად უშლის ხელს ითანამშრომლონ ჩინეთთან და ირანთან.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ეტაპზე, სამხრეთ კავკასიის ორი სახელმწიფო ცდილობს არ მიყვეს ტრადიციულ ენერგეტიკულ სცენარებს და უფრო მეტიც, მსოფლიოს გავლენიან ენერგოგიგანტებს შორის მეტად ანგარიშგასაწევ პოზიციაზე გვევლინებიან. ევროპა სამხრეთის დერეფნის ათვისებით შეძლებს რეგიონის ენერგოდივერსიფიკაციას. აზერბაიჯანი და საქართველო დასავლეთთან ინტეგრაციით დანერგავენ ევროპულ სტანდარტებს, რაც კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საწინდარია. აშშ-ის დაინტერესება განახორციელოს ინვესტიცია სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნის განვითარებისთვის, განპირობებულია რეგიონში კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, რათა ამ სახელმწიფოებმა დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი ენერგოპოლიტიკის გატარება, უზრუნველყონ დასავლეთის მიმართულებით ენერგოსატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოება და შეამცირონ ევროპის სახელმწიფოების რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება. აზერბაიჯანსა და საქართველოს, თურქეთთან ერთად აქვთ საერთო ნება განავითარონ სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი. მდებარეობენ რა ენერგო და სატრანზიტო გზაჯვარედინზე, კონსოლიდირებული ძალისხმევით პროგნოზირებადია საერთო სამომავლო პროექტების წარმატებით განხორციელება. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის ენერგოპოლიტიკას, მისი პოზიტიურად განვითარება სახელმწიფოში დასავლური ინვესტიციების განხორციელებით არის მოსალოდნელი.

³⁷მამუკა კომახია. (2018 წელი) „ახალი დიდი თამაში ცენტრალურ აზიაში: ბრძოლა კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებისათვის“. გამოცემა: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. გვ: 12.
https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/97-expert-opinion-geo.pdf?fbclid=IwAR2cvjFub7Y-mk1kqg8cCVAYknFNjFR7D7V0t2a9XhB_BTfB5FAoAVa_v0g

თავი II

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა 21-ე საუკუნეში

2.1 საქართველოს როლი კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემაში

ენერგეტიკული უსაფრთხოება გულისხმობს სანდო წყაროებიდან, ხელმისაწვდომ ფასად სტანდარტული ხარისხის ენერგო რესურსების მიწოდებას. სახელმწიფოებისთვის ენერგოუსაფრთხოების „ქოლგის“ ქვეშ მოიაზრება ისეთი გამომწვევი კომპონენტები, როგორებიცაა პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა, ენერგობალანსის მიღწევა და ენერგეტიკულ სისტემაზე გარე ფაქტორების გავლენის მინიმუმამდე შემცირება. აღნიშნული გამოწვევების მართვა შესაძლებელია რეგიონის მშვიდობიანი განვითარებით. საქართველოს რესპუბლიკა კი, როგორც რეგიონში შემავალი ერთ-ერთი მოქმედი აქტორი, მნიშვნელოვნად განაპირობებს კავკასიის ახალი რეგიონული დანიშნულების ჩამოყალიბებას. საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სატრანზიტო მარშრუტების განუყოფელი ნაწილია. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს აქვს უდიდესი პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. ამ მიმართულებით, კი საინტერესოა, თუ რა გზა განვლო საქართველომ ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში და რა შესაძლო პერსპექტივები არსებობს სამომავლოდ, დასავლეთთან ენერგეტიკის სექტორში თანამშრომლობისთვის.

ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირის სტრატეგიული ხედვები, ცალსახად, შეიცვალა მას შემდეგ, რაც ევროპის ძირითადი ენერგომომწოდებელი აქტორის-რუსეთის მხრიდან ზეწოლის ფაქტები განხორციელდა. ენერგეტიკული თანამშრომლობის ფორმატები ყალიბდებოდა წლების განმავლობაში გამოცემული დოკუმენტების ფარგლებში, სადაც გაწერილია ევროკავშირისა და მომპოვებელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ნორმები და შემუშავებულია სატრანსპორტო წესები. საქართველოს რესპუბლიკამ ენერგეტიკის სექტორში

დასავლეთთან თანამშრომლობა საბჭოთა რუსეთის მიერ 70-წლიანი ექსპანსიის დასრულების შემდეგ დაიწყო. 1995 წელს იგი გაწევრდა „ევროპის ენერგეტიკულ ქარტია“-ში, რომელიც მიზნად ისახავს ენერჯის უსაფრთხოდ მიწოდებასა და მდგრად ეკონომიკურ გაერთიანებას. 2005 წლიდან, ათენის ხელშეკრულებით „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება“ ამოქმედდა, რომლის მიზანია ევროკავშირისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ენერგოსისტემის ერთმანეთთან დაახლოება, რათა ევროკავშირის ენერგეტიკული და ეკოლოგიური კანონმდებლობა მის არაწევრ სახელმწიფოებზეც გავრცელდეს. 2007 წლიდან საქართველო „ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ სარგებლობდა დამკვირვებლის სტატუსით, 2013 წელს განაცხადი გააკეთა წევრობასთან დაკავშირებით, ხოლო 2016 წელს ოფიციალურად შეუერთდა.

ევროკავშირის გააქტიურება ენერგოდივერსიფიკაციის მიმართულებით კარგად ჩანს „ენერგეტიკული კავშირი“-ს შექმნითაც. ევროკავშირმა აღნიშნული კავშირის სახით, წარმოადგინა ახალი ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც ხუთი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: *1. ენერგეტიკული უსაფრთხოება, სოლიდარობა, ნდობა; 2. სრულად ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზარი; 3. ენერგოეფექტურობა; 4. ეკონომიკის დეკარბონიზაცია (სათბური გაზების გაფრქვევის შემცირება) 5. კვლევა, ინოვაცია, კონკურენცია.*

ევროკავშირის მხრიდან ერთიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, საქართველოს უქმნის შესაძლებლობას, გახდეს ევროპული დერეფნის ნაწილი და განაგრძოს დემოკრატიული განვითარება. თავის მხრივ, საქართველოს მიერ არჩეული სწორხაზოვანი დასავლური კურსი საწინდარია კავკასიის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებისა. სწორედ, ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, 2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის(AA) ახალი ჩარჩოს შექმნა. საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმია. უფრო მეტიც, იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის 300 სამართლებრივ აქტთან. ევროკავშირის პოლიტიკას ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საკითხებში

განსაზღვრავს 160-მდე დირექტივა და რეგულაცია. ასოცირების ხელშეკრულების უმთავრესი კომპონენტია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში (ნაწილი VI), რაც მოიცავს: 1. ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას; 2. ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის შეძენას; 3. თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ სექტორებში, როგორცაა ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი, ნავთობის საძიებო სამუშაოების წარმოება და ტრანსპორტირება; 4. განახლებადი ენერჯის მხარდაჭერასა და განვითარებას; 5. ენერგოეფექტურობის ამაღლებას. ხელშეკრულებამ, მომავალში, უზრუნველყო საქართველოს „ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანება“-ში (EEC) გაწევრება.

ასოცირების შეთანხმების(AA) ენერგეტიკულ ნაწილში თანამშრომლობის დებულებები მოიცავს შემდეგ პუნქტებს:³⁸

✚ ძირითადი საკითხები:

1. ენერგეტიკული სტრატეგიები და პოლიტიკა;
2. კონკურენტუნარიანი, გამჭირვალე და ეფექტური ენერგეტიკული ბაზრების განვითარება;

✚ სავალდებულო:

3. თანამშრომლობა ენერგეტიკის საკითხებში რეგიონულ დონეზე და საქართველოს გაერთიანება „EEC“-ში(წარმატებით განხორციელდა 2016 წელს) ;
4. მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო კლიმატის განვითარება;
5. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შექმნა ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციის მიზნით;
6. ენერგეტიკული საქმიანობის უსაფრთხოების გაუმჯობესება;
7. ხმის წესით, ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის ეკონომიკური და ეკოლოგიური ხელშეწყობა.
8. განახლებადი ენერჯის (ჰიდროენერგეტიკა) დარგის განვითარება და მხარდაჭერა, ორმხრივი მოლაპარაკებების წარმოება და რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

9. სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ენერჯის წარმოებისას ტექნოლოგიების გაუმჯობესების მიზნით;
10. თანამშრომლობა ბირთვული უსაფრთხოებისა და რადიაციისგან დაცვის საკითხებთან მიმართებაში „ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო“-ს მიერ მიღებული შესაბამისი ხელშეკრულებებისა და კონვენციების დაცვის შესაბამისად.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად, მისი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო ინსტრუმენტებს შემდეგ ძირითად სფეროებში: 1. ელექტროენერჯია; 2. ბუნებრივი აირი; 3. განახლებადი ენერჯია; 4. ენერჯის ეფექტურობა.³⁹

დასავლეთის უპირველესი საზრუნავი ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიკაციაა. ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის მეშვეობით, ევროპა პირდაპირ დაუკავშირდება კასპიურ ენერგორესურსს და ევროპის გაზზე მოთხოვნის 10-20%-ს დააკმაყოფილებს. ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის მთავარ ღერძს სამხრეთ კავკასიური მილსადენი(“SCP”) წარმოადგენს. სწორედ „SCP“-ის განხორციელებამ წარმოშვა იდეა პროექტის გაფართოებისა, რომელიც კასპიური გაზის აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამარშრუტო გზით ევროპამდე მიწოდების აუცილებლობას გულისხმობს. კასპიური რესურსის სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფნის საშუალებით შავ ზღვამდე გადინებისა და შემდეგ დასავლეთ სახელმწიფოების ბუნებრივი აირით მომარაგების მოთხოვნამ ორი მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზებას ჩაუყარა საფუძველი: ტრანსანატოლიური გაზსადენი(“TANAP”) და ტრანსადრიატიკული გაზსადენი(“TAP”). სამხრეთ კავკასიური მილსადენის (“SCP”) განხორციელებით, სატრანზიტო გადასახადის სახით საქართველოს აქვს ოფცია აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5% მიიღოს შეღავათიან ფასად, გარდა ამისა, მილსადენის ექსპლუატაციაში ჩაშვების დროიდან 20 წლის განმავლობაში,

^{38 39} “Georgian Energy Sector In The Context Of EU Association.” *World Experience for Georgia. Tbilisi 2015.* p:10,11. <http://weg.ge/sites/default/files/weg-book-with-cover-page-eng.pdf>

საქართველოს შეუძლია სპეციალურ, შეღავათიან ფასში შეისყიდოს წელიწადში ნახევარ მილიარდ მ³-მდე ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობა. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სისტემა სამხრეთ კავკასიურ მილსადენს 12 კმ-იანი შემაერთებელი მილსადენით უკავშირდება, ხოლო სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების დროს, „BP“-ის პროგნოზით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების დანახარჯები \$2 მლრდ-ს მიაღწევს და საქართველოს პორტებისა და რკინიგზის მეშვეობით დაახლოებით 350 000 ტონა ტვირთის ტრანზიტი მოხდება. გარდა ზემოთაღნიშნული განვითარებადი პროექტებისა, ევროპის გაზის სამხრეთ დერეფნის ფარგლებში არსებობს ტრანსკასპიური მილსადენის („TCP“) განხორციელების გეგმაც. ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივას, რომლის მეშვეობითაც თურქმენული გაზის კასპის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთ სანაპირომდე ოფშორული მონაკვეთით გადინება, შემდეგ კი აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამარშრუტო გზით დასავლეთ სახელმწიფოების მომარაგება განხორციელდება.

ამ დრომდე განხორციელებული („WREP“, „BTC“, „SCP/BTE“, „SCPX“) და სამომავლო / განვითარებადი („TPC“, „TAP“, „TANAP“) პროექტები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის ენერჯო დერეფნის განუყოფელი ნაწილია და მისი განვითარება წარმოუდგენელია საქართველოს სატრანზიტო მარშრუტის გვერდის ავლით. თანამედროვე გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორია, უდაოდ, უალტერნატივო სამარშრუტო გზაა კასპიური ენერჯორესურსების გატარებისა. იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთის ურთიერთობებს დამაბული პოლიტიკური ფონი გასდევს, საქართველოს სამხრეთ კავკასიის ენერჯოსატრანზიტო ცენტრად ჩამოყალიბების უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

საქართველოს, როგორც კავკასიის ენერჯოუსაფრთხოების სისტემაში შემავალი ერთ-ერთი მოქმედი აქტორის დანიშნულებასა და არსებულ პერსპექტივებზე საუბრისას, ნიშანდობლივია, განვიხილოთ ენერგეტიკულ სექტორში საქართველოს „NATO“-სთან თანამშრომლობის ასპექტები. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის

განსაკუთრებით გააქტიურება ამ მიმართულებით გამოიწვია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთ დღიანმა ომმა. ნატოს 2008 წლის ყოველწლიური ანგარიში პირდაპირ ამახვილებს ყურადღებას 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და მის გავლენას ევროატლანტიკურ ენერგოსაფრთხოებაზე. ამ დროიდან ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფა ნატოს დღის წესრიგის სკალაზე პრივილეგირებულ მიმართულებად იქცა. ენერგოსაფრთხოების ცნება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებული სახელმწიფოებისთვის ენერგორესურსების მისაღებ ფასად მიწოდებას გულისხმობს, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა რუსეთის აგრესიამ კი ცხადყო სამხრეთ კავკასიის ენერგომადგისტრალური დერეფნის დაუცველობა. ალიანსმა, ახლადწარმოქმნილი საფრთხეების პრევენციის მიზნით, დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები საქართველოს სწრაფად გაწევრების საკითხთან მიმართებაში და ამჟამად საქართველო „NATO“-სთან „ინტენსიური დიალოგის ფორმატი“-ს საშუალებით თანამშრომლობს.

„NATO“-სა და საქართველოს თანამშრომლობა ენერგეტიკის სექტორში განპირობებულია შემდეგი ასპექტებით: *1. რეგიონში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, რათა სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოებმა დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი ენერგოპოლიტიკის გატარება. 2. კასპიის ზღვის რეგიონის განვითარება და სტაბილური გარემოს შექმნა, რათა სამომავლოდ, გარკვეული ენერგოპროექტები განხორციელდეს. 3. რეგიონში დასავლური ინვესტიციების დაბანდების ხელშეწყობა. 4. ევროპის ენერგოდივერსიფიკაციის მიზნით სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნის ათვისება.*

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აქტიურად ლობირებს კაპსიური ენერგორესურსების სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანის გავლით დასავლეთით გადინებას, სადაც საქართველო უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ტერიტორიად მოიაზრება. მთავარ მიზანს კი, ერთი მხრივ, კასპიური ენერგორესურსების რუსეთის ფედერაციიდან გადინების შესუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, კასპიური ენერგორესურსების აღმოსავლეთის (ჩინეთი) ნაცვლად, დასავლეთის მიმართულებით მიწოდება წარმოადგენს.

საქართველოს მიმდინარე საერთაშორისო ენერგოპროექტებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი პროცესია კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების გზაზე. საქართველოს, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ფაქტორები შეგვიძლია რამდენიმე კომპონენტად წარმოვადგინოთ: საქართველოს მაღალი სატრანზიტო პოტენციალის დამსახურებაა, რომ იგი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილად განიხილება. საქართველოს „NATO“-სა და „EU“-თან აქტიური თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში პოზიტიურად ისახება რეგიონის ენერგოუსაფრთხოებაზე. საქართველო დასავლეთთან პარტნიორობის ფარგლებში, ერთი მხრივ, ეტაპობრივად ნერგავს და უახლოვდება საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს, მეორე მხრივ, კი დასავლეთთან დაახლოებით კავკასიის რეგიონს უბრუნებს იმ პირვანდელ დანიშნულებას, რასაც დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი დერეფანი ეწოდება. ამ დროისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მსხვილი ენერგოტრანზიტი ხორციელდება, რომელიც შემდეგ მიმართულებებად გაედინება:

1. *“სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემა / ბაქო-თბილისი-ერზერუმი” (SCP/BTE)*
2. *“ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი”(BTC) საექსპორტო ნავთობსადენი;*
4. *„ბაქო-სუფსა” (WREP) დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი;*
5. *ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენების სისტემა(NSCPS).*

სამომავლოდ, განვითარებადი პროექტებია: 1. *„ტრანსანატოლიური მილსადენი”(TANAP);* 2. *„ტრანსადრიატიკული მილსადენი”(TAP);* 3. *ტრანსკასპიური მილსადენი(TCP).* ყოველივეს გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკა ერთგულია ენერგოსექტორის დასავლური სტანდარტების შესაბამისად განვითარების და დაინტერესებულია რეგიონული თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში.

2.2 საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა და გამოწვევები

ენერგეტიკა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. საქართველოს ენერგოპოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შესახებ 2006 წელს დამტკიცებულია „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა განვითარების პოლიტიკურ ვექტორს და, გარკვეულწილად, სტრატეგიის როლსაც ითავსებდა. „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის“ (2006 წ) მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად გამოიყო შემდეგი მიმართულებები:

- ▶ ენერჯის ეფექტიანად გამოყენება;
- ▶ ენერგოუსაფრთხოება;
- ▶ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და პრივატიზაცია;
- ▶ სექტორის ეკონომიკური მდგრადობა;
- ▶ სატარიფო პოლიტიკა;
- ▶ ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებზე „მესამე მხარის დაშვება“;
- ▶ აღრიცხვიანობა;
- ▶ ორმხრივი და რეგიონალური თანამშრომლობა.

აღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველომ მიზნად დაისახა:

1. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო სფეროებში ენერგოეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა და სახელმწიფოში ენერგოეფექტიანობის ამაღლების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ჩამოყალიბება;
2. განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
3. სექტორში ტექნოლოგიურად მოძველებული ტექნიკური ბაზის სრული გადაიარაღება;

4. ახალი ელექტროსადგურების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის გადაცემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
5. ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების მოპოვება;
6. მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემასთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;
7. მეზობელი სახელმწიფოების ბუნებრივი გაზის სისტემასთან დამაკავშირებელი მილსადენების მშენებლობა;
8. ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების მოპოვება;
9. ტრანსკასპიური პროექტის განხორციელების ხელშეწყობა;
10. იმპორტირებული ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია.
11. სექტორის კომერციულად მომგებიანი ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება.

აღნიშნული სტრატეგია გადაიხედა და შეიცვალა 2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულების თაობაზე“ მიღებული დადგენილებით. საქართველოს ენერგოპოლიტიკის განახლებულ ტრატეგიაში ძირითად მიმართულებებად გამოყოფილია:

- ▶ ენერჯის წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა;
- ▶ საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება;
- ▶ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება ენერგოსექტორის მიმართულებით;
- ▶ საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერჯით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება;
- ▶ ენერგოეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება;
- ▶ საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის როლის გაზრდა;
- ▶ ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტების გათვალისწინება;

- ▶ საქართველოს, როგორც სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად გადაქცევა;
- ▶ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ საქართველო იდგა ისეთი გამოწვევების წინაშე, როგორც არის მწვავე ენერგოდეფიციტი, მოძველებული ინფრასტრუქტურა, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის არამდგრადი მიწოდება, მონოპოლიასთან ბრძოლა. ამ დროის განმავლობაში, მართალია, გაუმჯობესდა საქართველოს ენერგოსექტორის მდგომარეობა, თუმცა დასახული ამოცანების განხორციელებისკენ სწრაფვა კვლავ აქტიურ ფაზაშია. აქედან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარებისა და სამუშაო პროცესის მოქნილი წარმოებისთვის, საჭიროა, მუდმივად გათვალისწინებულ იქნეს თანამედროვე პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორები. ეკონომიკის განვითარების პერსპექტივამ შესაძლოა ახალი გამოწვევები წარმოშვას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური განვითარება შეფერხდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოიქმნება ენერგოდეფიციტი. ამ პრობლემის ეფექტურად სამართავად კი, საჭიროა, ეტაპობრივად გაგრძელდეს შიდა ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება. ეკონომიკური ფაქტორის უკეთ აღსაქმელად, აუცილებელია, განვსაზღვროთ თუ რა პოტენციალი აქვს სახელმწიფოს შიდა ენერგეტიკული რესურსების ათვისებისა და განვითარების:

ჰიდროენერჯია საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებს შორის პირველ ადგილს იკავებს. სახელმწიფოში არსებული მდინარეების ეკონომიკურად მიზანშეწონილი წლიური პოტენციალი საშუალოდ 40 მლრდ კვტ.სთ-ით არის შეფასებული. ამავე მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოს ჰიდროპოტენციალის ეკონომიკურად განახლებადი ნაწილის დაახლოებით 2.8 ათას მგვტ-ა ათვისებული (20%). საქართველოში ჰიდროენერგორესურსები არათანაბრადაა განლაგებული - 72% დასავლეთ, ხოლო 28% აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის.⁴⁰ ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა შემდეგი მდინარეები: ენგური, რიონი და მტკვარი. სწორედ ამ მდინარეების აუზებში არის განლაგებული ჰესების უმეტესი რაოდენობა

და, სამომავლოდ, აქვე იგეგმება ჰესების ნაწილის განხორციელებაც. მაგალითად, მდინარე ენგურის აუზში 20-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა გათვალისწინებული. საქართველოს მდინარეების ნაწილი თავისებურებებით ხასიათდება: გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში წყალუხვია, ხოლო შემოდგომა-ზამთარში წყალნაკლი. ამრიგად, მათი ათვისება სხვადასხვა ტიპის ჰესების მშენებლობითაა შესაძლებელი, საამისოდ კი, საჭიროა ინტენსიური კვლევა-ძიება და შეფასების საფუძველზე ჰიდროელექტროსადგურების გამართვა.

ქარის ენერჯია კიდევ ერთი განახლებადი ენერჯიაა, რომლის განვითარებას საქართველოში დიდი პოტენციალი გააჩნია. ქარის ელექტროსადგურებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ტერიტორიებად განიხილება შავი ზღვის სამხრეთ ნაწილი, კავკასიის მაღალმთიანი ზონა და სამხრეთ საქართველოს ზეგანი(ჯავახეთის რეგიონი). გარდა ამისა, მე-20 საუკუნის მიწურულს, საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია ქარის ელექტროსადგურის გასამართად კიდევ რამდენიმე მოედანი, რომელიც მდებარეობს ფოთის, ქუთაისის, რუსთავის, რიკოთის უღელტეხილის (საბუეთის მთა), თბილისისა და მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიებზე. ქარის საშუალო წლიური პოტენციალი 4 ტრვტ.სთ-ს შეადგენს, ხოლო დადგმული სიმძლავრე 1500 მგვტ-ით არის შეფასებული.⁴¹ ნიშანდობლივია, რომ ქარის ენერჯიის პოტენციალი სრულად ათვისებულია და კვლავ საკვლევ ფაზაშია. ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ გამოსცა სახელმწიფო პროგრამა - „განახლებადი ენერჯია 2008“, რომელიც განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის ხელშეწყობასა და ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს. სწორედ ზემოთთქმული პროგრამის ფარგლებში ენერჯეტიკის სამინისტრომ „საქართველოს ენერჯეტიკული განვითარების ფონდთან“ ერთად დაიწყო ახალი 20 მგვტ ქარის სადგურების მშენებლობა და

⁴⁰ „ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC). თბილისი, 2019. გვ:6
https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98_1571400310.pdf

⁴¹ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო. „ელექტროენერჯიის პოტენციალი“.
http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo

გორის მიმდებარედ ქარის ელექტროსადგურის 6 ტურბინა დაიდგა. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ წარმოადგენს პირველ პროექტს, რომელიც შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულ შედარებით ნაკლებ ელექტროენერგიას ეხმარება მომხმარებლებამდე შეუფერხებლად მიწოდების საკითხში.

მზის ენერჯის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მგვტ-ით.⁴² საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მზის ეფექტური და ხანგრძლივი გამოსხივება საკმარისად მაღალია ეფექტური გამოყენებისთვის - მზის ენერჯია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს 40÷50 0C ტემპერატურის წყალი. მზის ენერჯის გარდაქმნა და გამოყენება ჩვენს პირობებში, მისი მაღალი კუთრი ღირებულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რთულად მისასვლელ, მთაგორიან და მცირედდასახლებული პუნქტების ელექტროენერჯით მომარაგებისთვის.

ბიომასა საქართველოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ენერჯის წყაროს წარმოადგენს. ტყეებს საქართველოს ტერიტორიის 40% უჭირავს. 2 620 676 ჰექტარზე დაფარული ტყის 98% განლაგებულია დიდი და მცირე კავკასიონის ქედების კალთებზე.⁴³ საქართველოში მერქნის საერთო მარაგი 452 მლნ მ³-ს შეადგენს, რაც მსოფლიო მერქნის მარაგის 0,13%-ია. ტყეებში 1 ჰექტარზე მერქნის საშუალო მარაგი კი 163 მ³ - ია. ტყეების 33% საშუალო ხნოვანებისაა, ხოლო 35% მწიფე და მწიფეზე უხნესია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ტყეების თითქმის 44% 30⁰ და უფრო მეტ დაქანების ფერდობზეა განლაგებული, რაც მერქნის მოპოვებას ართულებს. საქართველოში ტყეების ენერჯეტიკული პოტენციალი 0,8 მლრდ კვსტ-ს

⁴²საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო. „ ელექტროენერჯის პოტენციალი“. http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo

⁴³„საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021“. თბილისი 2018. გვ:93. <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/ActionPlan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx>

უტოლდება.⁴⁴ აუცილებელია, მერქნული რესურსის ენერგოეფექტური გამოყენება. ქვანახშირის საბადოები საქართველოში განლაგებულია სამ რეგიონში: ტყიბულ-შაორი(მოიპოვება 1847 წლიდან), ტყვარჩელი(მოიპოვება 1929 წლიდან) და ახალციხე(მოიპოვება 1947 წლიდან). აღნიშნული საბადოები წარმოდგენილია ორი სახით: 1. ქვანახშირი; 2. მურა ნახშირი(ლიგნატი). ქვანახშირის სამრეწველო მარაგების საერთო რაოდენობა კი 372 მლნ ტონას უტოლდება, საიდანაც 280 მლნ ტონა ტყიბულ-შაორის საბადოზე მოდის, ტყვარჩელის საბადოზე - 21 მლნ ტონა, ხოლო ახალციხის მურა ნახშირის საბადოზე - 71 მლნ ტონა. ქვანახშირის ფასის დადგენას ორი ფაქტორი განაპირობებს: ქვანახშირის მოპოვება და ტრანსპორტირების ხარჯები. ამის გათვალისწინებით, 2010 წლის მონაცემებით, ქვანახშირის პროგნოზირებადი ფასი 1 ტონაზე 35-41 აშშ დოლარამდე მერყეობდა.⁴⁵ საქართველოს, ელექტროგენერაციის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში, ცალსახად, აქვს პოტენციალი განავითაროს ქვანახშირის ადგილობრივი მრეწველობა და გადააქციოს კონკურენტუნარიან დარგად. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ამაღლდება სახელმწიფოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მაჩვენებელი, რაც ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და ნეგატიურად მოქმედ გარე ფაქტორებს დააბალანსებს.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს არ გააჩნია საკუთარი გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი რეზერვები, თუმცა, ბოლო დროს, აქტიურად მიმდინარეობს კვლევითი საძიებო სამუშაოები. სეისმური და კვლევითი სამუშაოების შედეგად, შესწავლილია გაზის 25 საბადოს სტრუქტურა, სადაც, პირობითად, დადგენილია გაზის რესურსების 4 მლრდ მ³ ოდენობა.⁴⁶ მის კომერციულ მნიშვნელობას კი შეფასებითი ბურღვითი შედეგები განაპირობებს. 2015 წლის მონაცემებით,

⁴⁴ბ. ჩხაიძე. „საქართველოს ტყის მერქნული რესურსის ენერგეტიკული პოტენციალი“ გვ.7. <http://weg.ge/sites/default/files/pdf.pdf>

⁴⁵ მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის - „ელექტროენერგეტიკაში საქართველოს ქვანახშირის გამოყენების შესაძლებლობები. თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოცდილება.“ თბილისი 2008 წელი. გვ.13. <http://weg.ge/sites/default/files/2008-tkibuli-coal-tpp.pdf>

⁴⁶ ⁴⁷ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025.“ გვ17. <http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf>

საქართველოში არსებული ბუნებრივი გაზის დადასტურებული რეზერვები 327 მლნ მ³-ია, სავარაუდო კი 591 მლნ მ³. რაც შეეხება ნავთობს, კვლევითი-სადიებო სამუშაოები ჩატარდა 25-მდე ობიექტზე, როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ნაწილში. შედეგად, პერსპექტიული და პროგნოზული რესურსების ჯამური რაოდენობა დაახლოებით 4.5 მლრდ ბარელი ნავთობით განისაზღვრა.⁴⁷ ზემოთქმული მაჩვენებლები, ცხადყოფს, საქართველოს ენერგოსექტორის ზოგად მდგომარეობას. საქართველოს ენერგოპოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართულია შიდა ენერგორესურსების განვითარებისა და კვლევითი-სადიებო სამუშაოების წარმოებისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, აქტიურად განაგრძობს დივერსიფიცირებული ბაზრის ათვისებას. საქართველოს 2019 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის პროექტის⁴⁸ თანახმად, საქართველოს ბუნებრივი აირის მთლიან მიწოდებაში აზერბაიჯანული გაზის წილმა 99% შეადგინა, რაც ნიშნავს იმას, რომ აზერბაიჯანის საბადოებიდან მიწოდებული ბუნებრივი აირი საქართველოს მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს და რუსულ გაზს, რომელსაც საქართველო სომხეთში ტრანზიტის ღირებულების საფასურად მოიხმარდა(2016-2017 წლებში 122 / 135 მლნ მ³), აღარ საჭიროებს.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ენერგოუსაფრთხოება არასდროს მიიღწევა იზოლირებულად, მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. უსაფრთხოება, როგორც მინიმუმ რეგიონალურ დონეზე უნდა იყოს მიღწეული. კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშემშლელი ფაქტორები ჩვენთვის უკვე ცნობილია რამდენიმე მიმართულების სახით: *1. გეოპოლიტიკური მდგომარეობა; 2. ენერგეტიკული ბაზრის მაღალი კონკურენცია და მონოპოლიები; 3. მწვანე პოლიტიკა; 4. პოლიტიკური წინააღმდეგობა.* საქართველოს მაგალითზე, შეგვიძლია, გამოვყოთ ენერგეტიკული უზრუნველყოფის რისკების ისეთი ტიპები, როგორებიცაა : *1. პოლიტიკური არასტაბილურობა; 2. კიბერტერორიზმის საფრთხე; 3. ბუნებრივი და ტექნოგენური*

⁴⁸საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 21 მაისის ბრძანება №1-1/246 - ვებგვერდი, 22.05.2019წ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4566655?publication=0>

საფრთხეები; 4. სამართლებრივ-მართვით საკითხებთან წამოჭრილი პრობლემები; 5. შიდა და გარე ეკონომიკური ფაქტორები. აღნიშნულმა ენერგეტიკულმა საფრთხეებმა სახელმწიფოში, შეიძლება გამოიწვიოს ენერგორესურსების უწყვეტად მიწოდების შეფერხება, მაღალი ფასები, ინფრასტრუქტურის მოშლა, ხარისხის სტანდარტებიდან გადახრა, ან საერთაშორისოდ მიღებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ ჩარჩოებთან შეუსაბამობა. ეს ზეგავლენები, შემდეგში, ასახვას პოვნებს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ინტერესებზე, პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ კურსზე.

ზემოთქმულ გამოწვევებთან საბრძოლველად, საქართველოს რესპუბლიკა განაგრძოს საერთაშორისო თანამშრომლობას ენერგეტიკის დარგში. მაგალითისთვის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) ენერგეტიკის პროგრამა - "UEP" ამოქმედდა 2018 წლიდან და წარმოადგენს 3 წლიან, 7.5 მლნ დოლარიან პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად. "UEP" პროგრამა დაეხმარება საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის, საქართველოს ენერგოსაფრთხოების გაძლიერებისა და საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფის საკითხებში.

ენერგეტიკის სექტორში საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები საჭიროებს გრძელვადიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავებასა და რეფორმების გატარებას. საქართველო, თანამედროვე ეტაპზე, ერთმნიშვნელოვნად, ფოკუსირებულია დასავლურ ენერგოსტრუქტურებში ინტეგრირებასა და საერთაშორისოდ მიღებული კრიტერიუმების დანერგვაზე. საქართველოს აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად, შეუძლია წარმატებით გააგრძელოს ფართო მასშტაბის რეგიონული სატრანზიტო პროექტების განვითარებაში თანამშრომლობა, რასაც განაპირობებს შემდეგი მიღწევები: 1. გააჩნია შესაბამისი მზაობა და ოპერირების წარმატებული გამოცდილება; 2. აქვს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რეზერვები; 3. მარშრუტი წარმოადგენს უმოკლეს და უიაფეს გზას კასპიური ენერგეტიკული რესურსების ევროპასა და

საერთაშორისო ბაზრებზე გადინებისთვის; 4. მიყვება არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და აქვს ნება იყოს სამხრეთ კავკასიის ენერგომატარებლების სატრანზიტო დერეფნის განუყოფელი ნაწილი. ყოველივე ეს, კი საწინდარია საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მომავალი განვითარებისა.

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში, ენერგოსაფრთხოებას სახელმწიფოები განიხილავენ ეროვნული ინტერესის დონეზე. შესაბამისად, ისეთი ცნება, როგორცაა ენერგოდივერსიფიკაცია, 21-ე საუკუნეში, პრივილეგირებულ საკითხად არის ქცეული. ნაშრომში ნათლად არის წარმოდგენილი ის, თუ როგორ ნაწილდება ენერგორესურსები მსოფლიოში. მაგალითად, “BP”-ის უახლესი მონაცემებით, ევროკავშირის ენერგორესურსების მარაგების რაოდენება მსოფლიოს სხვა რეგიონების მარაგებთან მიმართებაში, არც თუ ისე შთამბეჭდავია: ევროკავშირზე ნავთობის მსოფლიო მარაგების 0.3% (4,8 ათასი მლნ ბარელი) მოდის, ხოლო ბუნებრივი აირის მსოფლიო მარაგების 0,6% (1.1 ტრილიონი მ3). რაც შეეხება მოხმარებას, ევროკავშირის ბუნებრივი აირის მოხმარების წილი მსოფლიოს მასშტაბით 11,9%-ს (458.5 ტრილიონი მ3) შეადგენს, ხოლო ნავთობის მოხმარების წილი - 13.9% (646,8 მლნ ტონა). აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენერგომიწოდებისა და ენერგოდივერსიფიკაციის საკითხი დასავლეთისთვის. სწორედ ამ თვალსაზრისადნ გამომდინარე, კასპიის ზღვის ენერგორესურსებზე მოთხოვნა სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს. კასპიური ენერგეტიკული რესურსების სატრანზიტო მაგისტრალის დივერსიფიკაციისთვის კი, კავკასიის რეგიონი ყველაზე ხელსაყრელ სამარშრუტო გზას წარმოადგენს.

კავკასიის რეგიონი მარტივად უკავშირდება ხმელთაშუაზღვისპირეთის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთი - სპარსეთის ყურის სახელმწიფოებს. კავკასიის როლი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგოსაფრთხოების თვალსაზრისით, კერძოდ კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტის

კონტროლისათვის. აღნიშნულ მეტოქეობაში, იგი სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ხელსაყრელი ენერგო-სატრანზიტო მაგისტრალის მიმართულებით და ერთგვარ „დამაკავშირებელ ხიდად“ იქცა დასავლეთ-აღმოსავლეთისა.

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტების ანალიზი, პასუხობს ჩვენთვის მნიშვნელოვან კვლევის მთავარ კითხვას - „როგორია 21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემის მახასიათებლები და რა როლი აქვს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოს, კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემაში?“ - კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა 21-ე საუკუნის კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემის შემდეგი მახასიათებლები:

- ▶ ამ დრომდე განხორციელებული („WREP”, „BTC”, „SCP/BTE”, „SCPX”) და მიმდინარე/სამომავლო პროექტები („TAP”, TANAP”, „TPC”) ცხადყოფს, რომ კავკასიის რეგიონით დაინტერესება ენერგეტიკის მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდება მომავალი ათწლეულის განმავლობაში.
- ▶ სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენება გეოპოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული. მისი ჩრდილოელი მეზობლის ენერგოპოლიტიკა ეწინააღმდეგება დივერსიფიკაციას და ჰეგემონური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ყველანაირი ქმედებით ცდილობს არ დაუშვას ალტერნატიული პროექტებისა და პროცესების განხორციელება.
- ▶ კავკასიის რეგიონული მნიშვნელობის ზრდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი გარანტი დასავლეთია. თავის მხრივ, დასავლეთისთვის კავკასიის სატრანზიტო მაგისტრალის ათვისება ენერგომიწოდების, ენერგოდივერსიფიკაციისა და ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით პრივილეგირებულ მიმართულებას წარმოადგენს.
- ▶ სამხრეთ კავკასიის ორი სახელმწიფო ცდილობს არ მიყვეს ტრადიციულ ენერგეტიკულ სცენარებს. აზერბაიჯანი და საქართველო დასავლეთთან ინტეგრაციით, ეტაპობრივად, ნერგავენ ევროპულ სტანდარტებს, რაც კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საწინდარია. აზერბაიჯანსა და

საქართველოს, თურქეთთან ერთად აქვთ საერთო ნება განავითარონ სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი. მდებარეობენ რა ენერგო და სატრანზიტო გზაჯვარედინზე, კონსოლიდირებული ძალისხმევით პროგნოზირებადია საერთო სამომავლო პროექტების წარმატებით განხორციელება. რაც შეეხება სომხეთის რესპუბლიკის ენერგოპოლიტიკას, მისი პოზიტიურად განვითარება სახელმწიფოში დასავლური ინვესტიციების განხორციელებით არის მოსალოდნელი.

- ▶ აშშ-ის დაინტერესება განახორციელოს ინვესტიცია სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნის განვითარებისთვის, განპირობებულია რეგიონში კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, რათა ამ სახელმწიფოებმა დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი ენერგოპოლიტიკის გატარება, უზრუნველყონ დასავლეთის მიმართულებით ენერგოსატრანზიტო დერეფნის უსაფრთხოება და შეამცირონ ევროპის სახელმწიფოების რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება.
- ▶ კავკასიის რეგიონის ერთიანი ენერგოპოლიტიკის გატარებისა და განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები შეიძლება რამდენიმე მიმართულებად ჩამოვყალიბოთ: *1. გეოპოლიტიკური მდგომარეობა; 2. ენერგეტიკული ბაზრის მაღალი კონკურენცია და მონოპოლიები; 3. მწვანე პოლიტიკა; 4. პოლიტიკური წინააღმდეგობა.*

პასუხი საკვლევ კითხვაზე - „რა როლი აქვს საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოს, კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემაში?“ - მოიცავს რამდენიმე საყურადღებო დასკვნას:

- ▶ საქართველოს მაღალი სატრანზიტო პოტენციალის დამსახურებაა, რომ იგი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილად განიხილება. საქართველოს „NATO“-სა და „EU“-თან აქტიური თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში პოზიტიურად ისახება რეგიონის ენერგოუსაფრთხოებაზე.
- ▶ საქართველო დასავლეთთან პარტნიორობის ფარგლებში, ერთი მხრივ, ეტაპობრივად ნერგავს და უახლოვდება საერთაშორისოდ მიღებულ

სტანდარტებს, მეორე მხრივ, კი, დასავლეთთან დაახლოებით, კავკასიის რეგიონს უბრუნებს იმ პირვანდელ დანიშნულებას, რასაც დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი დერეფანი ეწოდება.

- ▶ ამ დროისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე მსხვილი ენერგოტრანზიტი ხორციელდება, რომელიც შემდეგ მარშრუტებად გაედინება: 1. “სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემა / ბაქო-თბილისი-ერზერუმი” (SCP/BTE) 2. “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი”(BTC) საექსპორტო ნავთობსადენი; 4. „ბაქო-სუფსა” (WREP) დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი; 5. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენების სისტემა(NSCPS).
- ▶ სამომავლოდ, განვითარებადი პროექტებია: 1. „ტრანსანატოლიური მილსადენი“(TANAP); 2. „ტრანსადრიატიკული მილსადენი“(TAP); 3. ტრანსკასპიური მილსადენი(TCP).
- ▶ საქართველოს აზერბაიჯანთან და თურქეთთან ერთად, შეუძლია წარმატებით გააგრძელოს ფართო მასშტაბის რეგიონული სატრანზიტო პროექტების განვითარებაში თანამშრომლობა, რასაც განაპირობებს შემდეგი მიღწევები: 1. *გააჩნია შესაბამისი მზაობა და ოპერირების წარმატებული გამოცდილება;* 2. *აქვს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რეზერვები;* 3. *მარშრუტი წარმოადგენს უმოკლეს და უიაფეს გზას კასპიური ენერგეტიკული რესურსების ევროპასა და საერთაშორისო ბაზრებზე გადინებისთვის;* 4. *მიყვება არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და აქვს ნება იყოს სამხრეთ კავკასიის ენერგომატარებლების სატრანზიტო დერეფნის განუყოფელი ნაწილი.*
- ▶ საქართველოს რესპუბლიკა ერთგულია ენერგოსექტორის დასავლური სტანდარტების შესაბამისად განვითარების და დაინტერესებულია რეგიონული თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოების სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, რაც შეეხება

საქართველოს, როგორც სამხრეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოს, როლს კავკასიის ენერგოსაფრთხოების სისტემაში, მისი პოზიტიურად განვითარების წინაპირობას საქართველოს მიერ მტკიცედ არჩეული დასალგური პოლიტიკური კურსი განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.მურვანიძე. (2013წ). კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გ.ვ 6
2. Full report - BP Statistical Review of World Energy 2019”, (2019), 68th edition
3. მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი I); აპრილი 2015.
<https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D/?fbclid=IwAR0A73Er81cktiGO1kNe0fXJbNkr149QrjqPmjbc1Ct-6H2BMZaJ4rNico>
4. როლანდ გიოცი. ნავთობი და ბუნებრივი აირი სამხრეთ კავკასიაში შიდა მომარაგება, ექსპორტი ტრანზიტი. 6 თებერვალი 2018 წელი.
https://ge.boell.org/ka/2018/02/06/navtobi-da-bunibrivi-airi-samxret-kavkasiashishidamomaraagebaeksportitrantziti?fbclid=IwAR0dIyOh0Xcaql5Qu-E_oahEdb4McAECe8TYqtZHQc6bgqlfI_sYmoXeROo
5. მამუკა კომახია. აზერბაიჯანული ნავთობის ექსპორტი: პირველი ნავთობიდან „საუკუნის კონტრაქტამდე“. 13 ივნისი 2017 წელი.
<https://postsovietwatch.com/2017/06/13/%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94/?fbclid=IwAR0iyCp9XFCOiw3kZ7LwUSkV5fLEZXuZ2sm9aUuNuk5399pi6iuKA4YjmMU>
6. გაჩეჩილაძე რევაზ. (2018 წელი) ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. გვ. 20-21.
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/reader%20r.gachechiladze.pdf
7. ალექსანდრე რუსეცკი. საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის. გვ. 1
8. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. „საქართველოს ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა 2019-2028“. თბილისი 2019. გვ: 17-18.
<https://www.gogc.ge/uploads/tinyMCE/documents/%E1%83%90%E1%83%97%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%202019-2028.pdf>
9. დავით ენგიბარიანი, ერევანი. „სომხეთის ენერგეტიკული უსაფრთხოების შესახებ“. 14 ნოემბერი, 2017 წ.

- <https://jamnews.net/ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A1/>
10. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ანალიტიკური დეპარტამენტი. „ენერგოდაიჯესტი“. 17 მაისი, 2017 წელი. გვ:12-13. <http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energodaijesti%202017%205%2016%2020geo.pdf>
 11. თამარ პატარაია. „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში:გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“. 2015 წელი. გვ:3. https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf
 12. Full report - BP Statistical Review of World Energy 2019”, (2019), 68th edition. p:17; p32.
 13. “Georgian Energy Sector In The Context Of EU Association.” World Experience for Georgia. Tbilisi 2015. p:10,11. <http://weg.ge/sites/default/files/weg-book-with-cover-page-eng.pdf>
 14. „ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC). თბილისი, 2019. გვ:6 https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%B0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90_%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A8%E1%83%98_1571400310.pdf
 15. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. „ ელექტროენერჯის პოტენციალი“. http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo
 16. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. „ ელექტროენერჯის პოტენციალი“. http://energy.gov.ge/energy.php?id_pages=60&lang=geo
 17. „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021“. თბილისი 2018. გვ:93. <http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/ActionPlan/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95.aspx>
 18. ბ. ჩხაიძე. „საქართველოს ტყის მერქნული რესურსის ენერგეტიკული პოტენციალი“ გვ.7. <http://weg.ge/sites/default/files/pdf.pdf>

19. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის -
„ელექტროენერგეტიკაში საქართველოს ქვანახშირის გამოყენების
შესაძლებლობები. თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოცდილება.“
თბილისი 2008 წელი. გვ.13. <http://weg.ge/sites/default/files/2008-tkibuli-coal-tpg.pdf>
20. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2016-2025.“
გვ17.
<http://energy.gov.ge/projects/pdf/pages/Sakartvelos%20Energetikis%20Ganvitarebis%20Strategia%2020162025%20Samushao%20Dokumentielektroenergetikis%20Natsili%201641%20geo.pdf>
21. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
2019 წლის 21 მაისის ბრძანება №1-1/246 - ვებგვერდი, 22.05.2019წ.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4566655?publication=0>